


საქართველო



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 18

აპრილი 27 1897 წ.

№ 18

შინაარსი: საჭრანეთ-ოსმალეთის ომი, მახაჯვალისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—† ნეკროლოგი.—ჩვენი ცხოვრების მიმო-
ხილვა Amicus-ისა.—ნიაგარის ჩანჩქერი ამერიკაში.—ორი სიმი ლექსი, ი. ვვლოშვილისა.—, კვალის* კორესპონდენციები.—
ჩეხელნი და მათი ისტორია (შემდეგი იქნება), გ. წერეთლისა.—სალიტერატურო შენიშვნა, დუტუ-მეგრელისა.—მარჯობა (გ.
დუ შობასანისა), ი. ნა-მისა.—გვალის ფოსტა და განცხადებანი.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოთ აცხადებს, რომ მსურველთ ყო-
ველ დღე შეუძლიათ მიიღონ ქალაქის კანცელარია-
ში ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრე-
ბულოს ამა წლის 8 აპრილის დადგენილების თანა-
ხმით შესწორებული, საბოლოო სია აღმომჩვეელ-
თა, რომლითაც ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნე-
ბი უნდა ამოირჩენ 1897—1901 წლისათვის.

(3-2)

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი.



იხაც გულდასმით შეუსწავლია
საბერძნეთის ისტორია უძვე-
ლესი დროიდან აქამომდე, ის
ადვილათ დარწმუნდება, რომ
ყველა ომები, რაც კი საბერ-
ძნეთს ჰქონია თავის ისტორი-


ულ ცხოვრების განმავლობაში, ყოფილა მოაგრებითი
და არა მისელოთი. მართლაც ასეთი პატარა სახელმ-

წიფო, როგორც არის საბერძნეთი, დიდ სახელმწიფო-
სთან ბრძოლაში მისელოთ ომს ვერ გაბედავს, რადგან
მას არც იმდენი ჯარი ჰყავს ხოლმე, რომ დიდ მანძილ-
ზე გააქაქოს და არც იმდენი ნივთიერი ღირსე, რომ
შორს მანძილზე საკმაო საგზალი და სამხედრო სა-
შხადისი მიაშველოს; მაშინ როდესაც კარზე მომდ-
ვარ მტერს, საბერძნეთის მიწა-წყალში, მეზობლებ-
თან ახლოს ღონეც მეტი შესწევს, ადგილ-მდებარე-
ობაც ხელს უწყობს და თავის სახლ-კარის დაკვა-
შიაც უფრო გულადია. რამდენათაც უფრო ეიწრო
და მოკლე მანძილის არის ბრძოლის ასარჩევი, იმ-
დენათ მეტივე ჯარი უფრო თავისუფლათ მოძრაობს,
საც უფრო გასაქირია, იქ უფრო ჯარს შეაგრძობებს,
ვიღრე მტერი და ამას გარდა თავის ადგილ-მამულ-
ში ჯარს ადვილათ ეხმარება თვით ხალხიც. ყოვე-
ლი ახალგაზხდა, რომელსაც კი თითუეს ტარება შეუძ-
ლია და ყოველი მოწიფული დედაკაცი გამოადიან
ბრძოლის ველზე; ამეც დროს ძლიერი სახელმწი-
ფოს დიდ ძალი ჯარი ეიწრო მთა-გორიან ადგილ-
ში შესაფერათ ვერ გაშლის ფრთებს და ვერც თა-
ვისუფლათ იმოძრაებს.

ამ მოსაზრებით თუ შეგხედათ ახლანდელ ბრძო-
ლას საბერძნეთ-ოსმალეთისას, უნდა დავრწმუნდეთ



რომ საბერძნეთის სა-
მხედრო პლანი აღ-
გილო-მდებარეობის მი-
ხედვით კარგათ არის
შედგენილი. ბერძნებმა
გაამაჯრეს საზღვრები
და დიდი მამაცური
ბრძოლა გასწიეს მო-
საზღვრე მთების ვა-
საეალებში. რაკი მრ-
აგლისაგან უმრავლესმა
ოსმალოს კარგათ შე-
იარალებულმა ჯარმა
გადმოლაზა მთის ვა-
დასაეალები და გამო-
ვიდა თესსალიის მინ-
დერებში, მაშინ კი
საბერძნეთის ჯარებმა
საჩქაროთ უკან დაი-
წიეს და ისე შეეფა-
რენ თავის მთა-გო-
რებში და იქ ბუნების
მაგარ ადგილებში ჩა-
საფრდენ მტრის დას-
ხედრათ. თუმცა დე-
პეშები ოსმალოს წყა-
როებიდან გეაძლევენ
გაზვიადებულს ამბავს
ბერძნების დამარცხე-



სქემატიური ძარბა საბერძნეთ ოსმალეთის ბრძოლის ელითა.

ნიშნების ახსნა.

- ზღვის კიდეების ხაზი
- ◆◆ ხმელეთის საზღვრების ხაზი
- ოსმალეთსა და საბერძნეთ შორის
- ოსმალეთის ქალაქის ნიშანი
- საბერძნეთის ქალაქის ნიშანი
- ◆◆ მთის ვადასაეალი

ბისას, მაგრამ ჩვენ ჯერ ბერძნების დამარცხებას სა-
ბერძნეთს არ ვხედავთ. ეს კი ეიცით, რომ ბერძნებმა
თესსალიის მოსაზღვრე მთების ვადასაეალებში ოსმალოს
ჯარის დიდი ზარალი მისცეს. ერთი-ორათ მეტად ჯარი
დაუხოცეს მათ და შემდეგ ვიპოვებთ, მწყობრათ უკან
დახიეს, რომ მეორე მთა-გორეების წყობას შექვა-
რებოდნენ. რადესაც ხუთი კაცი ერთზე მიდის, ეს
ასეც უნდა იფოს ხოლმე. ბერძნებმა შეყოფიეს თე-
სსალიის ქალაქში ოსმალოს ჯარი. შემდეგ რა მოხ-
და? რამდენიმე დღეა ცნობა აღარ გვაქვს. ეს მხო-
ლოთ იმის ნიშნავს, რომ ოსმალოს ჯარები ან ეე-
ლარ ბედდენ მეორე მთა-გორეხილებზე მიხტომას,

ან და თუ მიუხტენ, ბევრი ეერა გააწყვეს-რა. მაშ
ნამდელი ომი ახლა იწყება და ენახოთ, როგორ
გაიტანს თავს საბერძნეთის ერი.

ჩვენ ახლა დაეუწერილმანდეთ იმის აწერას, თუ
დღევანდელადის რაც ბრძოლა ჰქონიათ ბერძნებსა
და ოსმალებს, როგორი მდებარეობა აქვს იმ კუთ-
ხეს, საცა ბრძოლა გარვეალებული. ამ განზრახვით
ჩვენ ესტამბათ სქემატიურ ქარტას თესსალიისა
მაყედანი-ევიროსისას, საცა დღემდის არიან დაბინა-
ეებულნი ერთმანეთის მებრძოლი ბერძნები და ოს-
მალები.

თუმცა მომეტებული ნაწილი მაკედონიის და

ეპირია ბერკენებით არიან დასახლებულნი და ამას გარდა ძველათ ეს მაზრები თვით საბერძნეთის მიწა-წყალს შემოერთებია აღექსანდრე მაკედონელის დროიდან, მაგრამ დღეს კი ეს მაზრები ოსმალეთს უჭირავს და ოსმალეთის ნაწილებსაც უწოდებენ.

როგორც ვტყობთ, იმ თავიდანვე, როცა ოსმალეთისა და საბერძნეთის მთავრობებ შუა გამწვავებმა ატყდა კრეტოსის კუნძულის გამო, ოსმალეთს თავ-დარიგი მიუღია სამართა მომზადებისათვის, რომ მაკედონიაში და ეპირში შეეგროვებინა სამასი ათასი ჯარის კაცი, ესე იგი მთელი თავისი თავისუფალი მხედრობა. ამაზე მეტს ოსმალეთი ვეღარც კი გამოიყვანს ბრძოლის ველზე, რადგან მისი დიდი სიერცის ქვეყნებშიაც ესაჭიროება მას ძალა მუდროების დასაკეცლათ. ხოლო მაკედონია და ეპირი იმიტომ აგუსა ჯარებით, რომ ემზინია ეს მაზრებაც არ ამიბუნტდნენო. მაშასადამე რაც უნდა ძალიან ეცადოს ოსმალოს სახელმწიფომ ას ოცი ათას კაცზე მეტს ვეღარ შეიყვანს საბერძნეთში. დანარჩენი ჯარები კი ეპირის და მაკედონიის ხალხებს უნდა უთვალთვალდებდნენ; ამათ წინააღმდეგ საბერძნეთსაც მუშდლია ოთხმოცო ათასი ჯარი დაუყენოს პირისპირ ბრძოლის ველზე. მაგვირათ ბერძნები არიან თავის ქვეყანაში: ყოველი მთა, ბორცვი, ტყე, ჯაგი და კლდის ნაშხლეცი მისი სიმაკრეა, საიდანაც იგი უწყალოთ დაუწყებს მუსერას მოსულ მტერს. ამას გარდა დიდი და პატარა მისი მომხარე იქნება. ოსმალოს ჯარი, მა ყოველივე თან უნდა მოატანოს, რადგან თავის ქვეყანას დაშორებულია და საბერძნეთში ის საყიდლოთაც ეერას იწოვების. თესსალიაში მას დარჩა მხოლოთ დაკალიერებული და დამწვარი ქალაქები, ხალხი კი გაიხიზნა და ყოველივე თან წაიღო. ამასთან ოსმალოს ჯარს ზღეების გზებიც შეეკრა, რადგან გამოჩნდა, რომ საბერძნეთის ფლოტი უფრო ძლიერი ყოფილა და მისმა ჯგუფმა ანმა გემებმა ბოლო-ზღებში შეიმწყვდეს ოსმალოს ფლოტი, რომელიც წინასიგან ელარ გამოდის საბრძოლველათ. საბერძნეთის ფლოტმა ზღვის პირზე მდებარე ნავ-სადგურები, საცა ოსმალეთს მრავალი სამხედრო სამზადისი და ზორავულობა ჰქონდა თავის ჯარისთვის მომზადებული, გაუოხრა და დაღუბუჯა. ყოველს ეგ ამას თუ მივიღებთ მხედველობაში და თუ ეეროვამაც არ დაატანა ძალა საბერძნეთს შერიგებზე, ოსმალეთის ჯარს თან-და-თან უფრო გაუტარდებდა საქმე საბერძნეთში და ბოლოს საბერძნეთში შეიძლება კიდევ ვანდეგნოს ოსმალოს ჯარი თავის ქვეყნიდან.

თესსალიის მპრას ჩრდილოეთით საზღვრავს თესსალიის მოსაზღვრე სერა, საცა არის მაკედონიიდან თესსალიაში მელუნის მთის გადასავალი გრი-

ცოვალის ხეობაში; მეორე მთის გადასავალია ეპირიდან, სახელობ მეცოვოს ქალაქიდან ზიგოსის სერით და გადის კალაბაკის ხეობაში.


დასავლეთ-სამხრეთით თესსალიას საზღვრავს არტის ზღვის უბე, ხოლო აღმოსავლეთით სალონიკის ზღვის უბე და ეოლოს ზღვის უბე. თესსალიაში არის უმთავრესი ქალაქი ლარისა, მას შემდეგ ეოლოს ნავთ-სადგურა, ტურნავო, ტრიკალა, კალაბაკი, არტა.

თავდაპირველათ ოსმალოს ჯარი თესსალიის საზღვარზე შეგროვდა ელასონის ქალაქში ეღემ-ფაშის მხედართ მთავრობას ქვეშ უმოაერესი მისი ძალა აქ იყო. ამას გარდა მას ჰყვდა შეგროვილი კიდევ ერთი ღიგზია მეცოვოსთან. ეღემ-ფაშის პლანი ის იყო, რომ მრელი თავისი ჯარით შესეგვდა მელუნის მთის გადასავლით თესსალას და საქაროთ მიდგომოდა ლარისას. ამ დროსვე მეცოვოდან უნდა გადასულიყენ ოსმალოს ჯარები ზიგოსით, დაეკრათ ტრიკალა და შეერთებულიყენ ეღემ-ფაშასთან ლარისას, საცა უნდა თავს დასმოდენ მთელ საბერძნეთის ჯარს და ერთა დაკერით მოესპოთ მთელი მხედრობა. პლანი კარგი იყო, მაგრამ ასრულებით კი ეერ ასრულდა. იმ დროს როდესაც ეღემ-ფაშამ დიდი ჯარით გადალაბა მელუნა, დაიქირა ტურნავოს ქალაქი და მიადგა ლარისას, მეცოვოს ჯარები ელარ შეუერთდენ მას, რადგან აქ ბერძნებმა მხნეთ შეიმაკრეს ისინი და არტიდან გასეეულმა ბერძნების ღიგზიამ კიდევ არლა ქალაქი ფლოპადასი. ამ დროს საბერძნეთის ფლოტმა დაანგრია ოსმალოს ქალაქი პრევეზა, ხოლო გამარჯეებული საბერძნეთის ჯარი გაეშურა ეპირის დედა-ქალაქში იანინაში. ამ გარემოების გამო შეჩერდა ეღემ-ფაშა. ამით ისარგებლეს საბერძნეთის უმთავრესმა ჯარებმა, საქაროთ დაავდეს ლარისა და შეეფარენ სამხრეთით თესსალიის მთის ქედებს. ამასობაში ეპირში ოსმალეთმა მოაშეგვლა ახალი ჯარები, ასე რომ საბერძნეთის გამარჯეებული ღიგზიამ ისევ უკან დაიხია და გამარდა არტის ქალაქში. გამოჩნდა, რომ ეღემ-ფაშამ თავი-ის სამხედრო ჰლანი ელარ ასარლა. ის დაბინავდა დაკალიერებულ თესსალიის მინდერებზე, საცა მ.ს მოელის საბერძნეთის შერიგებულ თავისუფალ მებრძოლთაგან შეწყუბება, ნადავ თე-დასხმა და თესსალიის სამხრეთ ქედებში გადასაველი ზღების შეკრა.

ამ დღებში მართლაც მოვიდა ამბავი, რომ ეღემ-ფაშა ფარსალის ეელზე მიხტომია საბერძნეთის ჯარებს. ბერძნები აც ფარსალს ეელზე გაჩერებულან და შეჰვარებან დომოკოსის მთესს. აი, ახლა დიწყება ნაწიელი თეე ვანწ რული ბრძოლა ბერძნებისა. იმათ შეუძლიათ აი ოტრის მთების სიეწ-

როგონი შესუსტონ ოსმალოს ჯარები, ისინი უეჭველათ გამოიჩინენ, როგორც ძველათ იყო, როცა სპარსეთის აურაცხელი ჯარი დეტაკა ერთ მუქა საბერძნეთის თავ-განწირულ მხედრობას ლეონდინას თაოსნობით, გმირულ ეფექტობას. შესაძლებელია საბერძნეთმა ამ მთის ხეობებში დაახინავოს მთელი თავისი ძალა და აქვე გატეხოს ოსმალოს მხედრობა, როგორც ვახუშტიდან ვტყობილობთ, საბერძნეთში მთელი ხალხი ამდგარა საომრათ და სამხედრო ბანაკებში თურმე იწვრთნებიან, ვარჯიშობენ და ეწყვიან მებრძოლ ჯარებს. იმასაც ამბობენ ჟორბან, რომ საბერძნეთის ფლოტი აპირებს თავთ სტამბოლზე თავდასხმას, თუ ეს გამართლდა, მაშინ ოსმალოს მთავრობის საქმე ძლიერ ცუდად წავა. შესაძლებელია, მაშინ ბოლგარიამ, სერბიამ და რუმინიამაც ხელი გამოიღონ; ხალხი მაკედონია დეპირიც იმავე დროს დაიწყებენ მოძრაობას. ყოველ შემთხვევაში, თუ მალე არ შეარიგეს საბერძნეთი და ოსმალეთი, რაც ხანი გაივლის, ისე უფრო აირევა ოსმალოს იმპერიის საქმეები და ამას საეულისსმხო შუღლვი მოჰყვება. დაეცალოთ დროს, ვნახათ რას მოგვიტანს.

მსსკგებლი



სხვა-და-სხვა ამბავი.

§ პრილის 21 სხლამაზე ქალაქის საბჭომ განიხილა საყურადღებო საქმე თბილისში ახალი საყასბოს აშენების შესახებ. ადმინისტრაციის განკარგულებით საყასბო უეჭველათ ქალაქ გარეთ უნდა იქნეს აშენებული. 1889 წ. საბჭომ გადაწყვიტა, საყასბო ნათლულის სიახლოვეს გაეშენებინათ. მას უკან ერთი პროექტი იქნა მოწოდებული, ახალი დამატებით: საყასბოში ვაყაინილი მტკვრის წყალი ფილტრით უნდა იწმინდებოდეს. შენობა ფრანგული სისტემის იქნება: საქონელი ერთ დიდ საერთო დარბაზში არ დაიკლვის, როგორც გერმანიის საყასბოებშია მიღებული, არამედ თითო-თითოთ, ცალკე ოთახებში. როცა პირუტყვი მის თვალწინ დაკლულ ამხანაგ ხედავს და რიგს უტდის, რალც ემართება — ამბობენ ყასბები, და ეს გარემოება მის ხარცზე ცუდათ მოქმედებს.

ამ პროექტს წინ აღუდგა ფრაიდ შესანიშნავი ინჟინერი გერას-შოვი. რას დაედევთ პირუტყვითა მოყვარეობას, ქალაქის ჯგზის მოყვარება ვეაქმევეს, რომ საკლავისათვის საერთო დარბაზი უფრო იაფათ

დაჯდება და ჩვენც ამ ჯგზის მოყვარეობას მივდიოთო. ისეც რომ არ იყოს, აქაური ხორცი იმდნათ ცუდია, რომ ბევრი არა დააყლდება-რაო საბჭომ არ შეიწყნარა ბ. გერასიშოვის გულ-ქვა ფილოსოფია.

ახალი საყასბო 350,000 მანეთათ დაჯდება; ეს ფული ობლიგაციური სესხით უნდა იშოვოს ქალაქმა. საყასბოს შენახვას წელიწადში 50,000 მანეთი დაჭირდება. შემოსავალიც ამდენივე იქნება — ხარჯს გაუსწორდება. პროექტმა საბჭოში კამათი გამოიწვია. ზოგნი იმ აზრისა იყვენ, ეს საქმე რთულია და მისი განხილვა უნდა გადადევთო. ამათ სამართლიანთ უნახსენეს: — ეს ოცი წელიწადია, რაც ჩვენი ქალაქი ახალ საყასბოს მოლოდინშია და მეტი გაკინაურება ამ საქმისა შეუძლებელიაო. საბჭომ გადაწყვიტა: მიიღოს პროექტი (ბ. შიმკვირისა) და მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა რათა ქალაქს 500,000 მან. სესხის ნება მიეცეს და საკლავ საქონელზე ბაყი ერთი-ორათ მიეგტაროს.

* *

ქმათა მირზოგეთა ნავთის მწარმოებელმა ამხანავობამ შემოაწირა ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოებას 400 მ.

* *

20 აპრილს ქუთაისში სასურთიერთო კრედიტის წლიური კრება იყო. ისეც არჩეულ იქნა დირექტორათ ფრიად პატიეცემული ჩვენი საზოგადო მოღვაწე, ბ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე, რომელიც რიგით უნდა გამოასულიყო სამსახურიდან. (იყ.)

* *

მეურნეობის სამინისტროს ნება მიეცა, შეიმუშავოს, ბ-ნ კავკასიის მთავარ-მართებლის თანხმობით, საეალდებულო ლონსიძებანი კახეთში გაჩენილ ვაზის სენთან, ბლუკ რატთან, საბრძოლველათ. ამის გამო ამ მოკლე ხანში კავკას-ის საფილიპსტრო კომიტეტს, ბ-ნ თბილისის გუბერნატორის მონაწილეობით, მსჯელობა ექნება და შეიმუშავებს მედენახეთათვის; საეალდებულო წეს რიგსა.

* *

პეტერბურგიდან ატყობინებენ ვაზ. „თფილისის ფურცელს“: ვანჯის გუბერნატორი თ. ნაკაშიძე მისი თხოვნის თანახმათ დროებით განთავისუფლებულ იქნა სამსახურისაგან. შემდეგ კი თ. ნაკაშიძე თავს დაანებებს გუბერნატორის თანამდებ-ბას. გუბერნიის

მართვა ვამგეზა მინდობლი აქეს ვიცე-გუბერნატორს, დ. ს. ს. იაკობსონს.

* *

აგრეთ წოდებულ თბილისის „დიდების ტაძარში“ 23 აპრილს გაიხსნა ფორტოგრაფიათა გამოფენა, ამ ხელობის მოყვარულთა საზოგადოებისაგან გამართული.

* *

გეოლოგიური მიზნით მოგზაურთა საერთაშორისო საზოგადოებაში 700 კაცი ჩაწერილა; ამათგან 350 კაცი კავკასიას ეწვევა.

* *

ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილებით პირად და მემკვიდრეობით აზნაურთ არა აქვთ უფლება ეპატორთა წოდებაში ჩაეწერონ და ამ წოდების უფლებებით ისარგებლონ.

* *

ბ. თბილისის გუბერნატორმა მიმართა თბილისის ქალაქს თავის თანამდებობის აღმასრულებელსა და გარის მაზრის უფროსს: წარმოადგინეთ ცნობები თბილისში და გარის მაზრაში დაბალი სახელოსნო სკოლების გამართვის შესახებო.

* *

უკანასკნელი სტატისტიკური ცნობებიდან ჩანს, რომ კავკასიაში 216 სამრეწველო სკოლა და 180-მდე აგრეთვე წოდებული წერა-კითხვის სკოლა. ყველა ამ სკოლებში 14,544 მოაწვეე ითვისება, ორივე სქესისა. (Чер. Вѣст.)

* *

ბათუმში გიმნაზიის აშენებას 100,000 მან. დაჰქირდება. ეს ფული ქალაქმა სესხათ უნდა აიღოს. აგრეთვე წლიურათ 15,000 მან. უნდა გამოიღოს ქალაქმა ახალი გიმნაზიის შესახათ. ახალ საავთმყოფოსაც წელიწადში 30,000 მ. ხარჯი დაჰქირდება. ამ ხარჯთა დასაფარავათ ბათუმის საბჭოს განზრახვა აქეს: 1) დაადგინოს საავთმყოფოთათვის გადასახადი და 2) ქალაქის შენობებზე გაწერილ გადასახადს მოუმატოს. მაგრამ ყველა ეს მაინც არ იქმარებს ახალი ხარჯის გასასტუმრებლათ; ამის გარდა კიდევ ერთი


ახალი ხარჯი მიემატება ქ. ბათუმს: საბჭოსთვის საკუთარი ახალი სახლის აგებას აარებს. (Чер. Вѣст.)

* *

ქალადიდის საღვურთან ერთ ღუქანს ყაჩაღები დაეკვიან თავზე. ღუქანში იმ დროს 40-მდე მკნაერი კაცო ყოფილა. ყაჩაღებმა ღუქანს ალქა შემოართყეს, შევიდენ შიგ, ყველა იქ მყოფი გაძარცვეს და უწენებლათ გაიპარენ. (თ. ფ.)

* *

ციკრას, 27 აპრილს, შუადღეზე, თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია ქართული ღრამატული საზოგადოების წლიური კრება.



† ნ ე კ რ ა ლ ი ა გ ი .



ეტათ იშვიათი იყო ამ ოც-და-ათი წლის წინეთ, რომ თბილისის პანსიონებში და ინსტიტუტებში აღზრდილი, დიდი ოჯახის ქალი, გამკაოლდა ცოლათ სოფლის თავადს, ან აზნაურშეილდა და თუ წაყვებოდა ორ-სამ თვეს ძლიეს დაჰყოფდა სოფლათ—ამის შედეგს ხომ ყველანი ეხედათ აწინდელ ოჯახის დაქვეითებაში და მამულის გაუღანაგაში.

ერთ იშვიათ მაგალითს წარმოადგენდა თავადი გრიგოლ ბებუთოვის ქალი, ახლათ გარდაცვალებული კნ. ნინა გრ. დიასამიძისა.

ახალგაზდა ქალს მართალია დაუხვდა საქრმეულოში დიდი მამული, მაგრამ მოუწყობელი, მოუწყლელი. მან ათი-თვრთმეტი წელიწადი დაჰყო სოფელში ზამთარ-ზაფხულს: თავის გამჭირაობით და მომჭირნეობით ცდილობდა დაეყენებია ოჯახი ისე, რომ მომავალში შეძლებოდა თავისი წერილი შეილგების აღზრდა. ყველა, რაც იყო საუყუთესო ძველ ოჯახში, მისგან წმინდათ იყო დაცული, ამასთანავე ითვისებდა ყოველ ახლანდელ გონიერულ მოთხოვნოღებასაც. არც ერთი კეთილი განზრახვა, რომელიც მის ყურამდის მიღწეედა, არ დარჩებოდა მისგან თანაუტრძნობელი. იგი მთელ გარის მაზრაში იყო ცნობილი, როგორც სამაკალითო დედა და მისმა დაკარგვამ ყველა მისი პატივისცემელები ძალიან შეაწუხა.

ქ. გარში, 24 აპრილს, დიდ-ძალი ხალხის დასწრებით გაღიხადეს წირვა და პანაშეიდი. სხეთა შორის ჩვენმა მწერალმა ქალმა კნ. ანასტასია ერისთავი.

ვისამ კუბოს წინაშე. აი, როგორ დახასიათა ამ ქართველი დედის მოღვაწეობა:

შენს ფერმისიდე, უმოძრაო სასუქე გვითსულაბით შეიშვეს: სიცოცხლე—სიყვარული, თავ-შეწირვა და მსხვერპლთა განხორბა. ამსვე გვეუბნებოდენ თავანთის მაგალითებით ჩვენი წინადადეგი დედაბი, რომელსაც ზრდიდენ შვილებს და დაეწყებდნენ განხორბელს ბრძოლის გეგმა, რათა მსხვერპლთა შეწირვით თავი სამშობლოსთვის; თვით ცანკულ სასუქე ეფინებოდით გამაგრების დამდეგი, რადგან გზნობადენ, რომ შეესრულებინათ თავანთი მოვალეობა. დაგარება ამნაირის დედას, მამინსე სახარული და შემაწუხებელი არ იყო, რადგან მის ადგილს იტარდა მეორე და მასვე, მარამ დღეს გვი, რადგან ისე დაეწინაღობდათ, ვადგამსინჯდათ, რომ სამშობლო გინა, მის კეთილ-დღეობასვე ზრუნვა განსე დაგვიყენებია, დღეს შენისთანა დედის დაგარება უგულვებურებად დაგვიყენებდა. შენ გულ-გონებას აწარმოებდი ბედსე არ უნებოდა, რადგან მარად გუბს შინადი არსებობა, საიქ შენმა დაგვიყენებელი გქონდა: შენ ქმარ-შვილის გულისთვის თვით წვალებად ბედნებრებათ მიგანდა. შენი მუდმივი ნატვრა იყო, რომ შეიღებოდა დაგვიყენებინა სამაგალითო ზნეობა, გონიერება და გონების განვითარება. დღეს არა ერთი ქართველი მიმართავს თავის მუდმივს, დას, და ეტყვის: აი, ნამდვილი მაგალითი, ნამდვილი დედა, რომელიც დედაობით უღვა თვისს, მისი მისაყვანობა ეგარეუნი იყო და აწავითარი ქანთხალი, აწავითარი სისასტიკე საწუთროსია არ შეარეგვლა, ვერ შამრგვლა მას და თქვენს მიჰაბეთ მასო.

საყურნო სასუფეველი დაეიჭვიდროს უფალას.

ჩვენი ცხოვრების მიმოხილვა.



ღის კილიდან დაიწყეთ. მოგვსენებათ, რომ შვიი ზღვის ტალღებს ლამაზათ დაწავთებია ქ. ბათუმი. ბათუმი—კაპაწია, მწვენილოვანი, თმახუჭუქა ქალაქია. მისი ნავთ-სადგური ყოველთვის მრავალი უცხოელი ანძა-აფრებით არის დაშვენიებული. ცოცხალი, მუშა-ქალაქია ბათუმი. იქ ყველა ქუჩები რომ დაიარათ, ერთ უსაქურ კაცს ვერ დაინახათ. ყველა რაღაცას ელტვის, ხელ-ფიხსა და ტკუა-განებებს ამუშავებს და მოძრაობს. ერთ დროს ქ. ბათუმის მოძრაობა იქაურ ქართველ საზოგადოებასაც გადაეცა. დაფატურდენ ჩვენი ბათუმელი ქართველები. შერთდენ. იქით-ეცენ, აქით ეცენ და გრთობილი კეთილი ჯადოსნობით არაარაბიდან შევნი-

ერ სკოლის შენობას გამოუძახეს. გამოუძახეს და დაამტკიცეს ჩვენდა სასიამოვნოთ. მაგრამ აქ ბათუმელ ქართველებს ის დამართათ, რაც ერთ კეთილ ჯადო-მოქმედს დავმართათ, რომელმაც თავისი თილისმის ძალით ბნელეთიდან შევნიერი ჩვენება გამოიყვანა და ამ საზაბობის წინ თითონვე დაფიხსა,—არი იცოდა, საიდან რა მოეგვარებია მისთვის და სადაც გადაიძალა.

ბათუმის ქართველებმა ისეთი ერცელი და ლამაზი შენობა აშართეს, რომ შიგ სკოლას გარდა ბევრი სხვა კეთილი საქმეც ვამართებოდა: საციკროს სკოლაც, ბიბლიოთეკა სამკითხველოცა და სხვა; მაგრამ ჩვენი ბათუმელები დაფიხს და თავ-თვანიანთ ეცარ ქვეშ მიიძახნენ. ასე რომ ბათუმი დღეს ყველა ამავებს მოკლებულია.

იქნება იმ გარემოებასაც უნდა მიეწეროს ეს მოვლენა, რომ ჩვენში ვანათლებული ძალა მხოლოდ დრო-გამოშვებით იფეთქებს და იმ წამსვე დუმილის სამფლობელოში შეიხიზნება ხოლმე.



„ამ ქვეყნათ რაც კეთილი დააკლდება, ბორორტს შეემატებაო.“—გვაუწყა აღმოსავლეთის სიბრძნემ. ბათუმელებისაგან დაკარგული მხენობა ბორორტულ მოურავებს შეემატა. მაგალითათ, ოზურგეთის მახრის ერთ საზოგადოებაში, სახელდობრ ძიმიითსაში, ცოცხლობს და ლამაზათ მოძრაობს ერთი განსაცვიფრებელი, მხენ მოურავი, რ. უ—ძე. ეს უცნაური გვიამ სრულათ უარყოფს მსოფლიო ანდაზას: ერთი კაცი ორ კულდელს ვერ გამოუღვდებოა. რ. უ—ძე ერთ და იმავე დროს თვისი ბატონის მამულის მოურავ—მჭირავია და ძიმიითს საზოგადოებისაცა. საჭიროა აქ განმარტოთ, თუ რას ნიშნავს ჩვენში სიტყვა „მოურავი“. მოურავი-მხენ და დაფულავი მგლველია. ვურჩევ ყველა ჩვენ მებატონეთ, რომელთაც მოაწიფული ვაჭირვით მამულებს ჰყავთ, თუ თავისი დაღვლეობი მამულების ამავთლებმა ჰსურთ, ისე მოიქცენ, როგორც ერთი ჩემი ნაცნობი მოიქცა. თავიანთ ვაჭირვით მამულის თვითონ მოურავების ქალიშვილები მოჰგვარონ ცოლათ: მოურავებისაგან წანავლეგი მშითვით და ეზრუნებდით და ამნაირათ საბატონო მამულები ისევე ვამოთვლებიან.

ბოდიშს ვიხილ ბ. რ. უ—ძესთან. აქ კერძოთ მანვე კი არა, საზოგადოთ ჩვენ მოურავებზე მაქვს ლაპარაკი, მე მოამოვან ბ. რ. უ—ძე, როგორც საზოგადო მოღვაწე, როგორც ჩვენი სოფლის თვითმართველობის მმართველი და არა როგორც მისი ბატონის ქვეშევრდომი.

ყველამ უწყით, რომ კანონა ჩვენ სოფელს თვით-მართველობა აკუთვნა. თვით თქვენ არჩიეთ

მამასახლის-მოხელენი და მართეთ თავი თქვენიო, მაგრამ, როგორც ხშირათ მოხდება ხოლმე ამ სოფლათ, სანამ ეს კანონი ძიებითი საზოგადოებას მიხაწევდა, გზაში ერთი მძლავარი სულდგმული დახვდა; დახვდა და მსწრაფლ დაუბრინდა და წააჯდა თავზე. ეს ვაშლად თავისი ბატონის შინაურა მოურავი და ძიებითი საზოგადოების გარეული ლომი, ბნი რ. უ—ძე. დააზრინდა—მეთქი—თავზე ეს მრისხანე ცხოველთა მეფე ძიებითი საზოგადოების თვით-მართველობას და წაშვე გავლიჯა: მსტქანი ნაწილი თვით ჩიბგლა კლანჭებში, მხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერი კი ძიებითი საზოგადოებას გადაუტერა. ამნაირათ დღეს ძიებითი მამასახლისის ამომჩრევი დიდებული რ. უ—ძეა, კვაპოშნიკ-კანდიდატ-სუღების“ კი—საწყალი ძიებითი საზოგადოება.

მაგარი ის არის, რომ ძიებითს გლეხები სულ საბატონო მიწების მუშაობით იკვებენ სულს, და ბატონის მიწების მოურავი ხომ ბატონი უ—ძე ბძინდება. ამიტომ დღემდის ძიებითს მამასახლისი რ. უ—ძის დაყენებული მისი მოგვარე უ—ძე იყო; დღეს კი საწყალმა ძიებითს საზოგადოებამ მთელი თავისი ძალ-ღონე შემოიკრიბა, თავის ლაშს კლანჭებიდან გაუსხლტა და ახალი მამასახლისი ამოირჩია. მაგრამ თვლი მოარეთ ახლა, რა ყოფა დაწია ბ. რ. უ—ძემ მის უჩრ საზოგადოებას. ძმა-ძმას გადაამტრა და საჩივარი გაავაზენინა, ამოჩრევა უკანონო იყოო. ამ ქამათ ბ. უ—ძე თავის სოროში მიამალულ, ელის, უთვალთვალვებს, შინაურა აურ-ზაური სოფელს ჯანს გამოუღვებს და მაშინ ისევ გაესხლტები კის-კასათ, დავაზრინდები და ჩემ დიდ კრძს ვავტანო. ეშა თქვენ ეერავსა და კლანჭოსან მუუფებას, ბნო უ—ძე!

* *

ქ. ქუთაისის მესტამბეებიც ბ. უ—ძის მკვდარი მოგვარენი ყოფილან. მათი მძლავრი მეოხებით ის მანქანა, რომელიც სტამბური სიტყვით კატ-მოყვარეობას აღადგებს, დღეს ასოთ-ამწყობთა საწინახლოთ არის გამხდარი. წნეხავს და წურავს ეს მანქანა ასოთ-ამწყობთა სულსა და გვაშს და თავის პატრონებს ჯობაში საყვარელ ცხოვრების წყალს უეკრიკლებს. „ღმერთმა ერთი რათ აცხონოს, თუ მეორე არ წასწყმინდოს!“ მაშ წაწყმენდნ ისეთაც წაწყმედლინი ასოთ-ამწყობნი და ცხონდენ ისეთაც ცხონებულნი ქ. ქუთაისის მესტამბენი! მაგრამ ქ. ქუთაისის „ქარგი რამ ქორდეს, გვიკირდეს, ავი რა საყვრეელია!“ რის დამხმარებელი და რა ცხოვრების ნიშან-წყლიანი საზოგადოება არსებობს ქ. ქუთაისში, რომ ასოთ-ამწყობთა ბოზობლებისაგან მჭარეული საზოგადოება არსებობდეს. ქუთაისს, ამ პაწია ქალაქს, თავის ფარგალში, მაგალითათ, იმდენი განათლებული ადვოკატები

ჰყავს, რომ ადვილათ შეუძლია თავისი ძალ-ღონით კიდეს კიდემდე მთელ ქვეყანას საჩივარი გამოუცხადოს და ამ საქაოს თუ არ მოიკო, ის საქიქოს „აპელაცია“ გადიტანოს, იქ ბოწყინეაღეთ და მთავროს, დედა მიწაზე „Исполнительный лист“ ებით დატვირთული „პრისტავი“ ჩამოგზავნოს და ამ „ლისტების“ ძალით მთელ დედამ წას ზურგზე ტყავი ამბროს. ამდენი ნასწავლი, მცოდნე იურისტები ჰყავს ქ. ქუთაისსა და არა ჰყავს ერთი განათლებული, ერთ-სული და ერთ-სხეული, ცოცხალი მიზნის მქონე საზოგადოება. ქ. ქუთაისი ინდივიდუალისტური, თავის-კერძი ქალაქია; ყველაზე უფრო იურისტები ვაურბიან ამ სასიქაღულუო ქალაქში ყოველ საზოგადო საქმეს. ვაგლახ ჩვენ! ნუ თუ განათლება და განდგომილება ერთგვარი მოკლენანი, სინონიმბია ჩვენ ცხოვრებაში?!


Amicus.

ნიაგარის ჩანჩქერი ამერიკაში.

მ ერთი უდიდესი საკვრეველებთაგანი ქვეყანაზე არის ნიაგარის ჩანჩქერი ამერიკაში. თვით მდინარე ნიაგარი არის ისეთი დიდი, რომ განი ერთი ეგრის აქვს და იმხელა სიღრმე აქვს, რომ დიდი ეცესლის ვემები დაღანი შიგ.

ამ მდინარეს ორი ჩანჩქერი აქვს: ერთი კანადის ქვეყანაში და მეორე შვეიცრეთულ შტატებში, სადაც ეს უზარ-მაზარი მდინარე მიიკლაკუნება კანადის ქვეყნიდან. თვით ჩანჩქერს აქვს ოცდა სამი საყენი სიმაღლე. მთელი ეს უშველვებელი მდინარე ამ სიმაღლიდან გადმოეშვება კლდეზე და ჩავარდება ძირს, მდინარისავე ჯურღმულში. ასეთი ხმა გამაღის ამ ჩანჩქერიდან, რომ გვეგონება, ასი ზარბაზანი ერთათ გრიალებსო.

ვისაც უნდა ამ საკვირველი ჩანჩქერის კარგათ დათვალიერება, ის უსათუთო უნდა დადგეს ჩანჩქერის ქვემოდან სამ პაწია კუნძულზეზე. რომელიც შვეიცრეთული არიან რკინის ხადებით. სულ განაპირებულ კუნძულზე თუ დადებით, მთელი ჩანჩქერი ერთი ეგრისის სიგანეზე თქვენ თვალწინ გადიშლება, თითქოს მთელი ზუვა ციდან ჩამოჩქარილებსო. ამ დროს თქვენ ქვეყნათ ევლარაფერს. ხედავთ გარდა თვალ-გალწეღენელი აქაფებული წყლისა, რომელიც დუღს თეთრათ და შხეფებს ისერის მთის სიმაღლეზე. წყლის წინწყლებისგან აყენებულია უზარ მაზარი ღრუბლები, და ისე გვეყენებათ თითქოს ეს ღრუბლები მთელ დედამიწას ფარენო.




ნიავარის ჩანჩქერი.

წყალი როცა გაღმავარდება ზევიდან, მერე ეხლება ერთ კლდეს; იქ ის აგორდება მთელ კლდის სიმაღლეზე და მერე გაღმავარდება ძირს. ამდროს ასე

გგონია, მთელი კლდე ძივძივებსო, ამიტომაც ამ კლდეს „მთრთოლვარე კლდეს“ ეძახიან.

მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი სანახაეი ამ



ნიაგარის ჩანჩქრის გამიქვლელი.

ჩანჩქერში გამოქვაბულებია. აი, როგორ აწერს ამ სა-
ნახაობას ეიტკოვსკი:

„კუნძულზე რომ ვახვალ, იქ ერთი შეენიერი
სახლია ადგილი, სადაც ყოველწლიური მიწაობილი-
ბაა, რომ ამ საშიშარ გამოქვაბულებში იმგზავროს კა-
ცმა.

როცა ამ სახლში შეხვალ, ჯერ დაგაწერიანებენ
თქვენ სახელსა და გეარს და საიდანაც ხართ, რომ, ეინი-
ცობაა, დაიღუპათ ამ საშიშ მოგზაურობის დროს, თქვე-
ნი ნივთები და დანატოვარი ფულები იქ გაგზავნონ.
შემდეგ ტანს ვაგზადიან და ერთნაირ ტანსაცმელს ჩა-
გაცემენ: ჯერ ჩივანებენ სქელი შალის კურტკა-
შალის და კიდევ მის ზემოთ ფისიან გლი-
ფულ მსხვილ ტილოს. ტიტულ ფეხებზე მოგაბამენ
ნაბეღებს, რომ კლდეებზე სიარულის დროს ფეხი არ
აეიტურდეს და წყლის ჯურღმულში არ გადავარდეს.
ამ ნაირათ მომზადებულს—ამბობს ეიტკოვსკი—წინ
წამოძღვარა ერთი ტანდილი ამერიკელი და ჩველი და-
ფარულ კიბეზე, რომელიც არის ჩასასვლელათ ხის
კოშკში ჩაყვანილი. ძირს გაიღო კოშკის კარი და
ჩვენ კლდეზე გაყვებით გამოქვაბულში შესასვლელათ.
მარჯვნივ და მარცხნივ ღრიალებდა ჩანჩქერი, წყალი
თავზე გვესხმებოდა და ოდნავაც რომ წაგვობობიკე-
ბოდა ფეხი, მშვიდობით: დაეინთქებოდით წყლის
ჯურღმულში, გამოქვაბულს რომ მივტანეთ, მაშინ
ვიგრძენი, რომ ჰერი სასუნთქველათ აღარ მყოფნის.
იქედან ავიხვედ მალა და დაეინახე. რომ ზევიდან
ცსავეთ გადმოვშვება წყალი და უშველებელ ბურ-
თათ გაკეთებულყო ცისარტყელა.

შე ვიგრძენი საოკარი სიცივე და ჩემ ტანსაც-
მელშიაც წყალმა გაატანა.

აქ რომ ცოტა ხანს კიდევ დაგრჩენილიყოყი,
მოვიშთებოდი ჰერის უქონლობის გამო“.

„როცა უკან წამართია ჩემმა ამერიკელმა და აშო-
ეედით ისევ იმ კოშკის კიბეთ, რომლითაც ჩვენ ჩა-
ვიდით, საშინელი დაღალულობა ვიგრძენ. თვით გა-
მოქვაბულში ჩანჩქერს ქვემოთ ვანა ჰერი კი არის.
მაგრამ ის გატენილია წყლის ობშივებით და სასუნ-
თქვეთ არ ვარგა.

ამ საშიშ მოგზაურობას შემდეგ მე ვიგრძენ სა-
შინელი დაღალულობა.

ერთმა ამერიკელმა, სახელათ უებმა, განიზარაბა ამ
ჩანჩქერში ვაცურება, მაგრამ დაიღუპა. მერე აღმოჩნდა,
რომ ის წყალს კი არ დაეხრჩია, ჰერის უქონლობის
გამო ჩანჩქერის ობშივარში მომშთევალიყო.

ამ ნიაგარის ჩანჩქერის საოკარი ძალით ისარგე-
ვლეს ამერიკელებმა. ჩანჩქერი ახლა ატრიალებს უშვე-
ლებელ ბოროლებს, რომლითაც ისეთი დიდი ელექ-
ტრონის ძალას ამუშავებენ, რომ სადაც გინდათ, თუნდ

შორს ქვეყანაში მათულებით გაჰყავთ ეს ძალა და
მთელ რეინის გზებს და სხვა-და-სხვა ქარხნებს ამ
ელექტრონის ძალით აშობავენ. ამ სახით ასეთი
საკირიველი ბუნების მოვლენა, როგორც ნიაგარის
ჩანჩქერია, კაცის განვითარებელმა გონებამ თავის
სასარგებლოთ გამოიყენა: რეინის გზები ამუშავა და
ქარხნები აწარმოვა.



ო რ ი ს ი მ ი .



აზაფხულის ნაზი ხელი
კვლავ გამოჩნდა მთის კალთაზე:
ასდგეს ევლებს, ხატაეს მინდორს
და ბულბულმააც დაკრა ქნარზე.

გადახადა პირზე ის
ღილის ცეარი ცელქ ნიავმა
და პეგელა წვედა გულლის,
უნოსვით გული დაიმა.

გაეცინა ბილილასა,
მორცხვათ თავი ძირს დახარა,
მზემ მთით სნიენი გადმოჟანტა,
შეკვრთა მიწა... ვაიხარა!

გული აჰყვა ღილის ნიავს,
გრძნობა-მალხაზ ნაკადულისა,
და ორივე ყურს ფვდებდენ
მთა და ბარის ტბილ ჩანგურსა.

ვიდექ კორღზე, გულს ესმოდა
საიდუმლო, ტბილი რამ ხმა,
და არ ვიცი ამ ღროს სული
კვლავ სოფელს რათ შეეთანხმა.

ფრთა-გაშლილი სიყვარული
ჩემ წინ მიჰურინ—მოფრინავდა,
წუთს წინ მკრთალი, უფერული,
აწ სიცოცხლე მოივარდა.

გზა ტანჯვის და წამებისა
არსად იყო, არსად ჩანდა,
და ქვეყანას შენანების
თვალთვან ცრემლი გადმოჰვარდა.

თითქოს უნდა ვადარეცხას
 ეკლიანი თვის წარსული;
 იცნო, იცნო ქვეყანამა,
 თუ რა არის სიყვარული!

ამას მღერდა დღეს ბუნება,
 მის ჩანგური საიდუმლო;
 სულმა ჰანგნი უცნაური
 გულს არშიათ შემოუღლო.

მაგრამ უცებ ბებერს მუხას
 ყოიანმა თავს ვადღუარა,
 დასწახველა და მთასა და ბარს
 ტრფილღება ჩაუშწარა.

მზემაც სხივნი ჩრდილოშია
 მგლოვიარეთ წამოხარა,
 შეჭკრთა ცელქი ნიაფიკა,
 ჩაჩუმდა და გაიბარა.

ხმა ბოროტმა ჩააჩუმა
 ბუნებისა ტყბილი ჩანგი;
 აღარა სცემს მისსა სიმებს
 ყუაფილების ჭრელი თარგი.

მის მაგიერ გულს ესმოდა
 ხმა მწუხარე, მგლოვიარე,
 და სულს ამას აწეებდა
 ჩემს გარშემო მგლოვი არე.

„ეკალზეა აგებული,
 ძმაო, ჩენნი ცხოვრებაო,
 ზოგის ბედსა ადგა ჩრდილი,
 ზოგის ბედა სიამოვნებო.

სიყვარული, ფრთა კეცილი,
 ერმა დაჰგმო, შეაჩვენა,
 და რათ მიჩნდა ოცნების ფრთით
 წუთიერი აღმაფრენა.

შედექ, შედექ შენც, ნიაფო,
 ძა,ს ხალხს თავისუფლებოა:
 ის მონაა, იგეე ცრემლი
 მწუხარ თვალზე არ შრებაო.

ეპა, გულო, კვლად ჩრდილი
 ობოლს სულზე მოავეფინა,
 გაგაშწარა სიცოცხლემა,
 ვერაისთან ჰპოვე ბინა“.

ეს ესმოდა ობოლს სულისა;
 ვიდექ მარტო ნაღლიანი,
 და მუხას თავს დაჩხაოდა
 კვლავ ყოიანი აე-ხმიანი.

ასე ორათ გაიკეთა
 ჩემი გული, ჩემი გრძნობა,
 ხმას საგმიროს ტოლთა მიმართ
 მწარე ცრემლი ვადგლობა.

ან კი კრული ქვეყნის შეიღმა
 ვით აეწოა ზევით ქედო,
 როს სამშობლოს გაძრკენილს შტოსა
 შეეგრინა ჩენნი ბედი?!

ა. ეგლაშვილი.

„ეკალის“ კორესპონდენციები.



სასკო (ოზურგეთის მაზრა). ჩვენმა საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი, რომლითაც ეკალთ იღვა თავის თავზე, გაეკეთება სკოლისათვის ისეთი სრული და კარგი შენობა, რომელიც დაეკაყოფილებდა თავის დანიშნულებას. გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანათ ფული უკვე გაიწერა სოფელზე და თვითოეულ კომის 12—15 მანეთამდის ხედა. სკოლა უნდა გაეკეთებოდა მისთვის ახალ შექმნილ მიწაზე, სადაც თვით სკოლის პატარა ბაღია გაშენებული. მაგრამ სკოლის დასადგმელი ადგილი ისე ეიწერა გამოდგა, რომ იქ სრულიად ვერ ხერხდებოდა სკოლის დადგმა, ამიტომ სოფელს წინადადება მიეცა, აუცილებელი საქარების გამო შეესყიდა ამავე მიწაზე მოდებული პატარა ნაკვეთი თავისუფალი მიწისა. საზოგადოებამაც დინახა ეს საქართო და ყიდვაზე თანხმობა განაცხადა. თუმცა ეს მიწა ძლიერ ძვირათ ფასდებოდა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“. ადგილის პატრონთან საქმე უკვე გათავებული იყო, მაგრამ აქაც იჩინა თაყი ჩვენმა

საზოგადო სენმა—ეგოისტურმა თავ მოყვარეობამ. ორი-სამიოდ გავლენის მექანე პირების წყალობით ეს საქმე ჩაიფუშა, არ განხორციელდა. ამ ეგებატონებმა დაარწმუნეს ზოგიერთი უმცქარნი, ვითომ იმ ადგილის შეძენა სკოლისათვის სრულიად საქაროებას გარეშე იყოს და მხოლოდ ზოგიერთა პირის ცერძო ინტერესებს შეადგენდეს. ამ ეგებატონებს მხოლოდ „კუტის მრწამსი“ გაუხდით ცხოვრების საგნათ და თქვენი სკოლის საქმე არაფრათ ეპირტნავენათ, მით უმეტეს, თუ ამიერი სკამე სხვისი ხელით კეთდება და მასსადამე მადლობაც სხვას ეკუთვნის. მაგრამ გერწამს, რომ, ადრე-თუ-გვიან, ამათაც გაუვებენ „ცხო-მოყვარეობას“; მაშინ ვინც დღეს მათი მადლიერნი არიან, ისინიც კი წყევლა-კრულვას მიუძღვნიან.

ერთი პასკელი გლეხი.

* *

სოფ. ხუჯინი (თიანეთის მაზრა). 28 აპრილის. ამ წლის „კვალის“ № 5-ის ერთ კორესპონდენციაში (სოფ. ალენიდან) იყო ნათქვამი, რომ შობის წინა დღეებში თუშის, იგივე ბართიშვილის, ქერივი მოწამლეს დაწმასნითაო. ეს ამბავი დღეს ნამდვილი გამოდგა, ქერივი ბაბაღო ჩეულებრივით დაძარხეს, თუმცა ქვეყანა ვიძახხოდა, რომ მოწამლულიაო. არ ვიცით, „კვალის“ კორესპონდენცია გავლენა ჰქონდა ამ საქმეზე თუ არა, ხოლო ის კი აშკარაა, რომ მთავრობამ, სამაზრო პოლიციაში, ბაბაღეს სიკვდილს ყურადღება მიაქცია კორესპონდენციის შემდეგ. განსვენებული ამოიღეს საფლავიდან და გეჰის საქრო ნაწილები გამოგზავნეს თფილისში გამოსაკვლევათ. აქ, თფილისში, აღმოაჩინეს, რომ ბაბაღე მოწამლულია დარიშხანით. უნდა ეთქვას, რომ თფილისში მეტათ დაავიანეს ეს საქმე. მაინც და-მაინც, ამ კმათ ეს საქმე უკვე გიგზუნა თანეთში და დღეს გამომძიებლის ხელშია; გამომძიებელს დღე-დღეზე მიეკლიან ალენაში. სოფელი დაუსტურდა და ამ უცნაურმა და ყოვლად მოულოდნელმა შემთხვევამ მეტათ გააკვირვა. დიდი მითქმა-მოთქმავა, და ყველა იმ აზრისაა, რომ ბაბაღე მოწამლა თავის მავლის ცოლმა. ეს საქმე, როგორც ჩანს ლაპარაკიდან, დიდი ხანია დაწყებული ყოფილა და სულ სხვა ნიართ უნდა დამთავრებულყო. ბაბაღეს რძალს ხალხი სწამებდა ცუდ ყოფაქცევას. ეს უბედური მანდილოსანი დაუმეგობრდა ერთ მეტათ გარყენილ თუშს და საქმე იქამდის მიიყვანეს, რომ ყველა ცხადათ ხედავდა, თუ რა მიფარულეობაა თინას და ამ თუშს შორის. ასე თუ ისე, ეს ამბავი ქმარმა შეუტყო და რა დაუპირა, ვინ იცის. იმავე

ლაპარაკიდან ჩანს, რომ თინამ მეგობრის მოკვლა მიინდომა, და ეს საქმე მიანდა ერთ მანდილოსანს; ამ უჯანსაღელობა ვერ გაბედა ეს საქმე. ეს მანდილოსანი გამოიწვია პოლიციის ბოქაულმა და ზოგიერთი ცნობები შეჭკირბა კიდევ. ბაბაღეს არ მოწონდა თინას ყოფა-ქცევა და ამის გამო ლაპარაკიც მოსდიოდათ. ბაბაღე დამეჭურა კიდევ თინას—თუ შენ ამ საქმეს არ ღიწმდი, მე შენ მამს გეტყვიაო. ბაბაღე ვაზდა, სწორათ, ამ მეჭურის მხსენებლათ; თინამ იფიქრა, რომ, რა კი ამ ადამიანს მოვიშორებთ თავიდან, მაშინ თავისუფალი ვიქნებოა. ამ აზრს საფუძველი ეძლევა იმით, რომ ბაბაღეს, როგორც მეოჯახე ქალს და სინიდისის და პატოისნების მექონეს, დიდი გავლენა ჰქონდა თავის მავლეს, მართლა და, ბაბაღეს რომ ეთქვა რამ თვის მავლისათვის მის ცოლის არა პატოისნურ საქციელას შესახებ, უმეველათ დიდი ამბავი მოხდებოდა. ბაბაღე იმდენათ თავდაჭერილი ადამიანი იყო, რომ ამ ამბავს არ ამქლავებდა, თუმცა თავის რძალს ჩუმათ ეჩხუბებოდა.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც ეს ამბავი მოხდა, და, რასაკვირველია, ბეგრი რამ ამ საქმეში დიფურბა. გამომძიებელმა ყოველი ღონისძიება უნდა მოიხმაროს, რომ ეს ამბავი სრულეებით გამოაშკარავოს. ამის საქმარისათ გამოქვეყნება, ჩვენის აზრით, ძალიან ადვილია. ჩვენ ვავიგეთ, რომ ქმარი (კარგი შემდეგული კაცი) და ზოგი ერთი ნათესავებიც თავის გამოღებას აპირებენ ამ საქმეში. გამომძიებელს ეს მხედველობაში უნდა ჰქონდეს და საქმეს ფთხილათ მოექცეს. ვიფიქრებთ, რომ თუშებში ამისთანა საქმე ჯერ არ მოხდარა და ხალხი მეტათ დაშინდა. ერთმანეთს რომ სასმელს მიაწვდიან, ჰკითხავენ: კაცო! შენ უხამი ხომ არ ჩამიყარეო?... ეს საქმე რომ ძირიანათ არ გამოიკვლიონ, შემდეგ მოწამელა ჩეულებრივ საშუალებათ გადაქცევათ. მით უფრო საინტერესოა ეს შემთხვევა, რომ აქედან ისიც გამოიკვევა, თუ საიდან მოულოდნელ თუშები ასე ბორომთ დარიშხანას და სხვა უხმასაც, (стрихнинъ) მაშინ, როდესაც ამ ნიეთიერების ამ გვარი ყოღა-გაყვლე კანონით აკრძალულია. „კვალის“ იმავე კორესპონდენციაში იყო ნათქვამი, რომ ვილაცა ორი თუში ნადრობს შირაქში დარიშხანით და სტრინინითო; თუმცა ესენი ნადრის ხოცდნენ, მაგრამ ძალიც ბეგრი ამოწყვიტეს და ამით დიდი ზარალი მოუტანეს მეცხვარეებს, ეს ორი თუში დებარებინა პოლიციის ბოქალს, რომელმაც აშკარათ შეიტყო ზოროდ ამთ-გან, რომ, მართლად, ამათ საწამლავები ჰქონდათ შირაქში. ბოქალმა ეს საქმე გამომძიებელს არ გადასცა და ისევე ისე ყრუთ დარჩა,—ეს ჩვენ ვიცით ნამევილ წყაროებიდან, სოფლის მოხელეებმაც კარ-

გათ იციან, თუ ვინ ხმარობს საწამლავეებს და დღემდის ამ საქმეს ყურადღებას არავენ აქცევს. ჩვენა ვფიქრობთ: გარდა იმისა, რომ გამოძიება აღმოაჩინეს ბაბაღეს მკვლელებს, ამ საწამლავეებსაც, თუ სრულიად არა, საკმარისათ მიიჩნეოდა ბოლო რამდენად ვაჭრებულთა თუ შებენთა საწამლავეები, ეს აშკარათ ჩანს იქიდანაც. რომ ორ ბავშს ევაოეთ ქალაქში გახვეული თეთრი ფხენილი; ერთს ამთგანს დასველებულ თითზე აეკრთვა ეს ფხენილი და უნდა გემოთი ენახა. ამ ქამათ შემთხვევით მისწრებულმა კაცმა ააღიწინა ბავში სიკვდილის: ფხენილი აღმოჩნდა სტრასნიანი.

დაეუბრაუნდეთ ისევ ბაბაღეს საქმეს. ბაბაღემ კარგათ იცოდა, რომ თინას დარიშხანა ჰქონდა და ისიც იცოდა, რომ დარიშხანა თავებისთვის იყო ნაშოენი; ასე ფიქრობდა ბაბაღე, თინას კი არაყში გაესხნა ეს საწამლავე და, როდესაც რძლის მოკვლა გადაწყვიტა, მაშინ ამ არაყს მიმართა და თავის ბოროტი განზრახვა აასრულა კიდევ. როგორც ლაპარაკობენ, თურმე თინას სიცილათაც არა ჰყოფინის ის ამბავი, ვითომ მას თავისი რძალი მოეწამლოს. როდესაც თინამ ბაბაღეს არაყი დააღვივინა, თვითონ გურეთ გავიდა და ბავშვებს უთხრა, რომ არსად არ წახვიდეთო. მაგრამ, როდესაც ბაბაღე შეწუხდა, ბავშვები შეშინდნენ მგზობლებთან წაივინდნენ და უთხრეს, რომ ბაბაღემ ასე და ასე არაყი დალია ღ კვდებო. ეს ხმა, რასაკვირველია, წყურავთ მიედევ; მთელ სოფელს; ასე რომ არიდესაც, სწავლებისამებრ, ბაბაღეს დასტორიანთ მოგრაოდე ხაზზე, ყველამ იცოდა, თუ რა მოხდა. განგებითი სიკვდილი აშკარა საქმე იყო, - ეს იქიდანაც ჩანს, რომ ღღველი არა მარხავდა და იქამდის მივიდა საქმე, რომ რამდენიმე კაცმა შეამოწმა ბაბაღეს ბუნებითი სიკვდილი, და ეს ქალაქი ნაცვალად შექვითი კიდევ შეამოწმა. საყურველია, რომ ღღველი ამ გვარ საბუთებს დასჯერდა. ამას თვით გამოძიება გამოაკრვევს...

ვიმეორებთ, თუ გამოძიებამ მაკრა ხელი არ ჩაქიდა ამ საქმეს, იმას ბევრა საჭირო და უზარესი საბუთები ხელიდან გაუხსლტება და შეიძლება, რომ საქმემ მეტათ სუბუქათ ჩაიაროს. შესაძლებელია, ისეც მოხდეს, რომ ბაბაღეს მკვლელო (ხალხის თქმით თინა) გერც კი აღმოაჩინოს გამოძიებამ. საქმეს იგი ფარულათ ინახავდენ აქამდს, რომ ბაბაღეს ერთათ ერთმა შეიღმა (ოცი წლის ვაჟკაცმა!) ღედის საეკლიდი შეიტყო მსოფლით თუქმსუტ ღდეს შემაგებ. დღეს, როგორც ამობენ, უნ არს და საქმეს თვალყურს ადევნებს. ეს საჭიროც არის: ამას შეუძლია გამოძიებელს ბევრი სხვა დასხვა საბუთები მისცეს ხელში...

თუმცა ავტო აპრილის ოცი დღეც გავიდა, მაგრამ კახეთის ბუნება მეტათ თუნუათ იღვიძებს; ამის მიზეზი ის არის, რომ აპრილის დღე სიკვებები მოჰყავს: 16 და 17 აპრილში ბარიჩ ჩამოთვლილა. ენახებს უთუთოთ ვერა დააკლორა, რადგან ვაზს ძალიან პატარა კლერტი აქვს. ყანას კაი პირი აქვს, თუმცა თხელია. ეს სითხლე, ჩვენი ფაქრით, საჭიროც არის ამ ქამათ: მიწა მეტათ მოღლილია, და თხელი ყანა უფრო სრულ თათვას გაიკეთებს. ამ ქამათ თუმცა შესამჩნევი საქონლის ჰირი არსად არის, მაგრამ, თითქმის ამის მაგერი იყოს, ნადირი მეტათ ეტანება შინაურ ცხოველებს. თუმცა ბუნება დიდ მოძრაობაშია, გაიღვიძებს და ათასფერათ შეიმოსება კიდევ, თუმცა ქინახულს დღეს კაი პირი უჩანს, მაგრამ ჩვენი ხალხი დიდ გაჭირებებაშია სიღრმის გამო. ერთი და ორი მოსავლიანი წელიწადი ხალხს ვერას უშველის, იმართომ რომ ამას უკვე შექმული აქვს მომავალ წლების შემოსავალი...

ჩეხელნი და მათი ისტორია. *)



უსის საკირებე დეწამ თავზარ-დამცემი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ ბოქმინაში და მორავანში, ჩეხელების საზოგადოებაში. 1415 წელს სექტემბრის თვეში 452 ჩეხის თავად-აზნაურებმა გაგზავნეს კონსტანტინის კრების მიზათ წინააღმდეგი წერილი და დიდი საყვედური ჰუსის წამებისათვის. ამათ შეკერეს ურთი-ერთ შორს კვეშარი ჰუსის სისხლის საძებლათ და მისი ახალი სარწმუნოების დასაცვლათ, რომლის უმთავრესი მცნებანი, აი, საიყვენ: 1) თავისუფალი ქადაგება საღვთო-წერილისა; 2) მხოლოთ იმ ეპისკოპოსებისა და პაპის დაწესებულებანი იცნენ საფაღვებულოთ, რომელიც საღვთო-წერილისამებრ იქნებანი შედგენილი.

პაპა მარტინ V მიწერა ჩეხელების მეფეს ენცელს: ჩეხელების საწმუნოებრივი განხეთქილება მოაშთევა; მაგრამ ენცელი მალე გადაიკვალა, ხოლო ძმა მისი სიგიზმუნდი ჩეხის ხალხმა მეფეთ აღარ იცნო, რადგან მან ჰუსის მფარველობის ბარათი უკანვე წაართვა. ამას შემდეგ აჯუდა თავ-გამეტებულა ბრძოლა საწმუნოებისა და ეროვნების დასაცვლათ. ჩეხელებს გამოუჩნდათ საკვირველი მხედრათ-მთავარი ჩისკა, რომელმაც ოთხჯერ დაამარცხა გერმანიის იმპერატორის ჯარი და ბოლოს თვით გერმანიის იმ-

*) ის. ააგბლი" № 17.



პერისასე შეესია. ცისკამ მოიგონა ახალი სამხედრო წეს-რიგე, გამართა ქვეითი ჯარი; ერთი ნაწილი ამ ჯარისა თოღებით იყო შეიარაღებული და მეორე ნაწილი ერთნაირი პურისა საცხეველებით. ამას გარდა მან მოიგონა მალალი ურმები, რომელთაც ბანაკს გარს შემოაწყობდა და ცახის კელემსავით გაამაგრებდა, ხოლო, როცა ჯარი აიბარებოდა ყოველივე სამხედრო სამზადისი და ხაბაკი ამ ურმებით გადაქონდა. საცხეველებით შეიარაღებული ქვეითი ჯარის კაცები საოცარი მებრძოლნი გამოდგნენ ცენოსანს ჯარის წინააღმდეგ. საცხეველი იყო — გძელ-მსხვილ ჯოხზე თასმებით მოამუშეო იყოველ კეტები. ამით დაეროედნ ცენოსანს ჯარს და ცენოსა და კაცს თავებს უმტკრეედნ: ეერც ხმალი, ეერც ხანჯალი ეელარ საქმობდა ასეთ იარაღთან-მთელი თერთმეტი წელიწადი ომობდენ ჩეხელები თავის ეროენებისა და სარწმუნოების გულისთვის. იმათ გაანადგურეს მთელი გერმანიის იმპერიის სამხედრო ძალა და შეევიწროეს რომის პაპის მთავრობა. რაკი პაპმა და იმპერატორმა ძალით ეერა გააწყევს-რა, შემდეგ ეერაგობას მიჰყვეს ხელი, რომ თვით ჩეხის ერი განეხეთქათ და იმათ შორის უკმაყოფილება ჩამოეგდათ. ა, ამ განზრახვით კარდინალმა ჩეხარინმა გამართა ჩეხელების მეთაურებთან მოლაპარაკება და სათნოებით ითხოვდა მაროიგებას.

ახალ ჰუსის მიმდევართა შორის იყვენ უკიდურესნი, ანუ შეფრიებულნი, რომელნიც პირდაპირ აცხადებდნენ: რაც სიტყვიერათ საღეთთა-წერილში არ წერია, მის მეტი სხვა არა გერწამს-რაჲ; ხოლო სხვანი, უფრო ზომიერი ჰუსის მიმდევარნი ამობდენ, არა, საღეთთა-წერილს გარდა ისეთი საეკლესიო დაწესებულებანიც უნდა ეიწამათო, რომელნიც საღეთთა-წერილში თუქცა არ წერია, მაგრამ არც მისი წინააღმდეგიაო.

ამ სახით ზომიერი ჰუსიელები ითხოვდენ მხოლოდ ოთხ მუხლს, რომელნიც იყვენ პრაგის უნივერსიტეტში დადგენილნი:

1) თავისუფალი ქადაგება საღეთთა-წერილისა სამშობლო ენაზე და არა ლათინურათ, 2) ორ სახით ზიარება, 3) უარ-ყოფა მსოფლიო უფლებისა და ქანებისა სამედელეობათათვის და 4) გოქმება პაპის მიერ ცოდების მიტეებისა, ესე იგი ისინი ამტკიცებდენ, რომ ცოდების ღმერთის მეტი სხვა ეერაინ მიუტეებსო. პაპს არ შეუძლია ცოდის მიტეებაო. თუ ამ ოთხ მუხლს ჩეენი სარწმუნოებისას შეიწყნარებს პაპი და მთავრობა, ჩეენ დაემშვიდდებითო — ამობდენ ზომიერნი ჰუსიელები; ხოლო უკიდურესნი არც ამას ჯერდებოდენ. პაპმა სხვადასხვა ეერაგობით და დაპირებით ზომიერი ჰუსიელებ-

ბი შეითანხმა და დაამშვიდა, მაგრამ უკიდურესნი მინც იბრძოდენ. რადგან ესენი ძალა-მოკლებულნი იყვენ, ახლა ამით დამარცხება გერმანიის იმპერატორს აღარ გაუჭირდა. ამიერიდან ჩეხელ ერში ერთობა დაირღვა და ნამდვილი სარწმუნოებისა და ეროენების გულისთვის მებრძოლთა წრე დაკოტედა. ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ჰუსიელების საქმე წაებებული იყო. უკიდურეს ჰუსიელებს თაბორლებსაც ეძახდენ. იმათ უარი თქვენ რომის პაპთან შერიგებაზე და თავ-განწირულ ბრძოლაში ლიპანის აღვიღეს ზომილთა დამარცხდენ 1434 წელს. ახლა ზომიერ ჰუსიელებს დარჩათ ბურთი და მოედანი. ისინი დამორჩილდენ სიგრიზუნდს, რომელიც ეკურთხა იმათ მეფეთ და აღადგინეს თვისი თვით-გამგეობა ბოჰემიაში. ამიერიდან კათოლიკის სარწმუნოებისანი და ჰუსის მიმდევარნი შერიგდენ და თანასწორათ აღიარებდენ თავ-თავის სარწმუნოებას. შემდეგ, როცა ლუტერანის სარწმუნოება დამკერდა და გერმანიაში, ზოგი ჰუსიელები ისევ დაუბრუნდენ კათოლიკის ეკლესიას და ზოგმა ლუტერანობა მიიღო. ამ სახით გაქრა ჰუსის სარწმუნოება.

ჰუსმა თავისი მოქმედებით მკვიდრი საფუძველი ჩაედა ჩეხის ეროენების განეთარებაში. მან შექმნა საღეთთა-წერილი ჩეხურ ენაზე. ჩეხილებს შეუდგინა ახალი ანბანი და ამას შემდეგ ეროენულმა ლიტერატურამაც ფრთები შეისხა. ჩეხის მწერლები თარგმნიდენ თავის სამშობლო ენაზე საბერძნეთისა და ძველი რომაელების ლიტერატურას. იმათ აგრეთვე გაამდიდრეს თავისი მწიგნობრობა საფრანგეთის გერმანიის და ინგლისის საუკეთესო თხზულებებთა თარგმნით. სიტყვა-კაზმული ლიტერატურა ჩეხიაში განსაკუთრებით აყვავდა მეჩვიდმეტე საუკუნეში, გერმანიისა და საფრანგეთის რაინდულ ნაწარმოებათა ზეგავლენით. ამ საუკუნის გასულ ცხოვრებად შესანიშნავი ჩეხის პედაგოგი ამოს კომენსკი, რომელმაც აღზრდა ახალგაზღობისა დაყენა ახალ ბუნებრივ ნიადაგზე და მთელ ეერობის სახელმწიფოებში მოახდინა დიდი გავლენა სწავლების ახალი მეტოდით. ჩეხის მწერალთ შორის ამ დროს შესანიშნავია აგრეთვე დანილ ადამი ეელესლაგადან, რომელმაც შეთხზა ჩეხური ლექსიკონი და ისტორიული კალენდრები.

მეთვრამეტე საუკუნე ჩეხის ეროენებისათვის მეტათ მწუხარე და ბნელით მოსილი ხანა შეიქნა. მას აქეთ, რაც ჩეხელები მწარეთ დამარცხენ თეთრ მთაზე (Weissen Berge); საუკეთესო მამულისშეილები იძულებულნი იყვენ გამოათოეებოდენ თავის სამშობლოს და გადასახლებულ იყვენ შორს ქვეყნებში, რომ თავი დაეხსნათ იგზუტების მიერ დევნულებისათვის. ამიერიდან გერმანიის იმპერატორების

ბანებით და იესუიტების ზე-გავლენით მუსრადენ, წყადენ ჩხურ წიგნებს. აესტრიის იმპერატორი იოსების დროს მთელ ჩხვის სკოლებში ძვირათ თუ ვინმე ნახავდა ჩხურ წიგნს და იმასაც ნამოლევით, მთავრობა პირდაპირ დევნიდა ჩხურ ენას და უკრძალავდა, რომ ჩხურში წიგნი არაიენ აუთხოვს ყმაწვილებს სკოლებშია. ჩხურთი ლიტერატურა სრულიად მოიხსრა თავის სამშობლოში; იგი მხოლოდ სულს ღაფავდა კიდევ სამხრეთის სლოვაკებ შორის და უცხო ქვეყანაში გახიზნულ ჩხელებს შორის. ამ გადასახლებულებში იმყოფებოდა სახელოვანი ამოს კომენსკი, რომელსაც ნება აღარ ჰქონდა თავის სამშობლოში გადაღლებული ძეგლით დაებინავეინა. მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ისევ წამოაჩყო თავი ჩხურმა ლიტერატურამ თავის სამშობლოში.

1820 წლამდის მინც ბევრათ არაფრათ ჩანდა ჩხვის ლიტერატურა. ეს ხანა მხოლოდ მოსამზადებელ ხანათ უნდა ჩაითვალოს. დიდი გავლენა მოახდინა ჩხვის ეროვნულ მოძრაობაზე საერო მუზეუმის დაარსებამ 1818 წელს. ამ მუზეუმში მოწინავე ჩხვის დასმა შეკრება ძველი ხელნაწერები ჩხურ ენაზე და ძველი ისტორიული განძების ნაშთები. შემდეგ 1830 წელს დაარსდა ჩხურა ძველი წიგნების გამოცემელი ამხანაგობა რომელმაც თავს იღვა ძველი ჩხურა ხელნაწერების გამოცემა ისტორიული შენიშვნებით, სახელათ „მატიც ჩესკა“ (Matice česká).

1820 წლიდან დაწყებული 1848 წლამდის ჩხვის ლიტერატურას ჰქონდა ძლიერი ეროვნული მიმართულება. ამ დროს მოქმედებდენ შესანიშნავი ჩხვის პოეტნი, მეცნიერნი და ისტორიკოსნი, რომელთაც თავისი თხზულებებით ზე-გავლენა ჰქონდათ ევროპის სამეცნიერო ლიტერატურაზედაც. იმათ თავისი შრომით მოუპოვეს ჩხვის ერს დიდი თანაგრძნობა მთელი განთლებული ევროპის ხალხებისა და დაამყარეს მისი ეროვნული თვითარსებობის საფუძველი. ამ სახელოვან კაცებს შორის იყვენ პოეტნი, დრამატურგები, პუბლიცისტები, ისტორიკოსები, ბუნებისმეცნიერნი და საექიმო მეცნიერებშიაც სახელგანთქმულნი პირნი; იმათ შორის შესანიშნავი მეცნიერი ვანკა, ძველებუი ჩხვის ხალხის ისტორიული ნაშთების გამოცემელი, ისტორიკოსი პალაკი, რომელმაც დაწერა მოკემის, ანუ ჩხვის ისტორია, შაფარკი, შესანიშნავი ეტნოგრაფი და ფოლოლიგი, პოეტი იან კოლარა, საერო პოეტი ჩელაკოვსკი, დრამატურგი პალევი და მრავალი სხვა.

ასეთმა ძლიერმა ეროვნულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ გამოიწვია ჩხვის ეროვნული და პოლი-

ტიკური ცხოვრების მოძრაობაც. დადგა 1848 წელი, რომელსაც თან მოჰყვა საფრანგეთის რევოლუცია და აესტრიის იმპერიის ხალხების განდგომილება, რომელთ შორის ჩხვის ხალხიც განუღვა აესტრიის მთავრობას და მოითხოვა თავისი საკუთარი თვით-მმართველობა და განდგება ქვეყნისა ჩხურ ენაზე.

ბ. წერეთელი.

(შემდეგ იქნება).

სალიტერატურო შენიშვნები.

II.

პემ პირველ წერილში (კვალი № 19, 1896 წ.) ვამბობდ სალიტერატურო კრიტიკის უქონლობაზე ჩვენში და მიხვებათ ის გარემოება დავასახელებ, რომ ვერც ერთმა ჩვენმა ნიჭიერმა და ცოდნით აღჭურვილმა მწერალმა ევლარ მოიცალა მისთვის, თუმცა ბევრს შეეძლო ეცისრა ეს საქმე. ჩემ აზრს ერთხელ კიდევ ამტკიცებს წერილი ბ. ი. მ—ასს, „პოეტნი, როგორც ხელოვნება“, მოთავსებული ამ წლის „მოამბის“ № I-ში. მართალია, თვითონ ბ. ი. მ—ა ამბობს, რომ ქართულ კრიტიკოსისთვის სტიქიონურ დაბრკოლებას შეადგენს ის ამბავი, რომ „ქართული ენა ჯერ-დროებით არ არის საკმაოდ მუსულ-მალ და გამოქნილი“; რომ არ შეეუძლია „აღდეს ქართულ მწერალს—თუნდა აკვირებოდა იმას, თუნდ ილია, თუნდ გრიგოლ ორბელიანი — ილაპარაკოს თავისუფლათ პოეზიაზე და მის ათას გვარ სხვა და-სხვაობაზე. ისე, რომ მას ჯერ არ გადაამტეროს ხელში კალამი და ფრთები არ შეაჭრას თავისი ფერად აზრებს, რომელთაც ჩვენ აღზრდის პირობათა გამო, როსულს ვინავე ვადაგნთ ჩვენ გონებაში-ო და სხვ., მაგრამ მე მინც ვიტყვი, რომ თავდა პირველი მიზეზი კრიტიკის უქონლობისა ჩვენში ჩვენთა მწერალთა თვე მუცუტკივებლობა არის და არა ქართული ენის უფარგისობა. რასაკვირველია, ბ. ი. მ—ას აზრი არ არის სიმართლეს მოკლებული და ქართულათ უფრო ძნელია კრიტიკის წერა, ვინავე, მაგალითათ, როსულათ და ფრანგულათ, მაგრამ შეუძლებელი სრულიათ არ არის, ოღონდ მოინდომოს და მოიკალოს ვინმე, ამ საქმისთვის მომზადებულმა პირმა. აეტორის გადამტებული სითემდაბლეა და სხვა არაფერი, როცა ამბობს, „ჩემდა თავათ, ამ დაბრკოლებას ვერას გზით ვერა ვსძლევ“, რადგან „სასწაულთ-მოქმედება უნდა

თავს ეიღვა, უნრთ ლაპარაკი დაეიწყო და შთაბეჭდილების მოხდენა ზრახვით ეიქონოა“ო, „ფიცი მრწამს და ბოლო მაკირებებს“ო, რომ იტყვიან სწორეთ ეს არის, ავერა ეს სლდეგ“ო, ამბობს და მინც განაგრძობს წერას; განავრძობს და შეენიერ წერილის უძღვრის ქართულ საზოგადოებას პოეზიაზე, როგორც ხელოვნებაზე. შეიძლება, ძალიან გაუჭირდა ავტორს თავისი წერილის დაწერა, ბევრი დრო და შრომა მოახმარა მას, მაგრამ დასასრულ მინც სძლია დაბრკოლებას და საკმაოთ ნათლათ გამოთქვა, რის თქმაც უნდადა, მიუხედავთ ქართული ენის „უმუშლ-მალობისა და გამოუქნელობისა“. დიახ, ბატონო ი. მ-ა, თქვენ ოღონდ მოიცალეთ ამ საგნისთვის, ნუ დაზოგავთ ღრას და „შრომას და პირობას გაძლეთ, ღირსეულთ შეასრულებთ ნაკისრ საქმეს, როგორც არა ერთხელ შევისრულებიათ კი დეც. ქართული ენა არ არის საკმაოთ მუხლ-მალთ და გამოქნილო, ბრძანებთ, რა გააუხლ-მალებს და გამოქნის მას, თუ ყველა, ესაც ამ ოპერაციის მოხდენა შეუძლია, თქვენსავეთ განზე გაულდება მწერლისათვის?.. მაგრამ დეანებოთ საყვედურებს თავი და იმედი ეიქონოთ, რომ პატრეცემული ავტორი დღეიდან მინც საეგებთ დაუბრუნდება ქართულ ლიტერატურას და, არამც. თუ მთელ იმ თხზულებას, რომლის ნაწყვეტსაც წარმოადგენს მისი „პოეზია, როგორც ხელოვნება“, მალე გამოაქვეყნებს, არამედ ბერის სხეასაც მოვიძიდინს ჩენდა სასიამოვნოთ და თავისდა სასახლოთ...

მხრით მოხელენი ფოტოგრაფები, მოხელენი პროტოკოლისტები, რომელთაც დაარქვეს დაცინეთ სახელი „უხელოვნო მოხელეთა“ო, გეუწყა ყველა ეს და დასძინა: „ჩენ შორს წაგეყუყუნს ლაპარაკი იმაზე თუ რომლის მიმართულებას ეკუთვნის ამ ორში უპირატესობა, მაგრამ ერთი კი მინც არ შეიძლება არა ვთქვათ: პრეტრეცემ ქმნილებამ უთუოთ უნდა გეასიამოვნოს, უთუოთ უნდა მოგვესვენოს ქვეყნის კეთებისგან, დეგეიწყოს ამ წუთი სოფლის მწუხარება, სასოწარკვეთილებიდან გამოგეყუყუნოს, იმედი მოგვეცეს, სასიამო, ე. ი. შეიქმნეს ჩენთვის იმ ანგელოზთა გელობათ, რომელმაც ფეუსტს მოაშორა პირიდან შთამით საეც ფილა“ო. ამ ნაიართ პატრეცემულმა ავტორმა ერთობ მოკლეთ მოსწრა სიტყვას და, თუმცა თავისი აზრი, რომლის მიმართულებას ეკუთვნის უპირატესობა, აშკარათ არ აღიარა, მაგრამ სასწორი მინც ერთისკენ ვადახარა, რადგან მისი მოთხიენილება, რომ პრეტრეცემ ქმნილებამ უთუოთ უნდა გეასიამოვნოს, მოგვესვენოს ქვეყნის კეთებისგან და დეგეიწყოს ამ წუთი სოფლის მწუხარებაო. ცხადთ გეჩვენებს, საით მიმართება მისი სიმპატია, „ხელოვნებისთვის მოხელეთა“; თუ „უხელოვნო მოხელეთა“კენ“. მოდი, მკითხველო, ჩენ ნუ შეგეაზინებს, რომ შორს წაგეყუყუნს ლაპარაკი იმაზე, თუ რომელს მიმართულებას ეკუთვნის ამ ორში უპირატესობა და შეეუღლეთ ამის გამოკვეყნას საგანი ერთობ საინტერესოა და ღირს იმაზე შეჩერება...

მართლაც, არას დროს არ ყოფილა ისე გამწვავებულთ ეთ სთხვა, როგორც დღეს, როცა ამ ორმა მიმართულებამ, „ხელოვნებისთვის ხელოვნებამ“ ერთის მხრით და „უხელოვნო ხელოვნებამ“ მეორეს მხრით, უკიდურესობამდის მიიღწია და პირველმა დაჰხადა ესრეთ წოდებული „დეკადენტები“, ხოლო მეორემ „ულტრა-რეალიტები“. ასე რომ ახლა, ჩენის აზრით, მეტია კიდეც ლაპარაკი იმაზე, თუ რომელ მიმართულებას ეკუთვნის ამ ორში უპირატესობა, რადგან ეთ დღესათი ნათელია და ცხადი. განა აშკარათ არ არის, რომ ამ ორში უპირატესობა არც ერთს არ ეკუთვნის, არც „ხელოვნებისთვის ხელოვნებას“ და არც „უხელოვნო ხელოვნებას“, არც „დეკადანს“ და არც „ულტრა რეალიზმს“, როგორც ვადამეტებულ უკიდურესობათ? დიახ, ვერც პირველი და ვერც მეორე ცალ-ცალკე, ვერც მხოლოთ უხეუნო იდეა, უნიადგო შეენ რება და ვერც მხოლოთ უიდეო ბუნება, ფოტო იყოლი და პროტოკოლური გამოსახვა ქვეყნისა დეკადენტის საქმებისა, ვერ შეადგენენ პოეზიას, როგორც შეენიერ ხელოვნებას, არამედ იდეაც და ბუნებაც ერ-

ახლა მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა თვით წერილზე „პოეზია, როგორც ხელოვნება“. განმარტარა ავტორმა საზოგადოთ ხელოვნება და ექრძოთ პოეზია, ვადეიდა შეენიერების, როგორც ამათი საგნის განმარტებაზე, რისთვისაც მოიყენა ორი აზრი პლატონისა და არისტოტელისა, რომელთა „განმარტებაც შეენიერებისა დედეც საფუძელათ ახალი დროების შეხედულებას პოეზიაზე“ო. შემდეგ გეაუწყა, რომ ზოგათა პლატონის განმარტება მიიღეს, უარჰყვეს ბუნების მიბაძვა, რასაც თხოულობდა არისტოტელი, „შეიკეტეს გონების კარები და ფრთები აუსხეს გამოხატულებას გავისასახავთ, თუ არ პლატონის იდეას, საკუთარის იდელებისა მინც. ზოგათა (არისტოტელის განმარტება მიიღეს) ბუნების მიბაძვა დაუდევს კანონათ პოეზიას და იმდენათ დაუმორჩილებს პოეტის გამოხატულება ამ ქვეყანასა და ქვეყნის საქმებს, რომ მოითხოვეს პოეტისგან ცხოვრების ოქმის შედგენა ნაცლეთ აქტიურის შემოქმედებრივის თავის ჩენისა. გამოჩნდენ ამ გეარათ ერთის მხრით „ხელოვნებისთვის მოხელენი“, მეორეს

თათ. პოეტმა სწორეთ უნდა მიზამოს ბუნებას და ის გამოსახოს თავის ქმნილებაში, რაც არის ქვეყნათ, რაც უნახავს და გაუგონია, ან რაც უგრძნია და გამოუცდია, მაგრამ ეს ბუნების მიზანა, ეს არსებულის გამოსახვა სრულიათაც არ უნდა იყოს ფორტოგრაფიული, პროტოკოლოური, მკვდარი, არამედ „აქტიურის შემოქმედებრივის თავის ჩენით“ სულხადგმული და „ღვთაებრივის შენეირების იდეით“ გამოაბრწყინებული, იმ იდეით, რომელიც „არსებობს დასაბამიდან სოფლისა“, მაგრამ რომლის ხილვა და გამოსახვაც მხოლოდ პოეტს შეუძლია. უცუთესნი წარმომადგენელნი პოეზიისა ასე იქცეოდენ კიდევ და იქცევიან დღესაც. ჰომეროსი, დანტე, შექსპირი, გეტე და სხვანი, მართლა პოეტები, თავიანთ ქმნილებებში წარმომადგენენ იდეას და ბუნებას შეერთებულათ და იმიტომაც არიან ისინი დიდებულნი, იმიტომაც არიან ისინი უცუდანი და ეკუთვნიან ყოველს დროს და ყოველს ადგილს. დღევანდელ დეკადენტებს კი, რომელთაც მხოლოდ იდეათა გამოსახვა დაიდევს საგნთ, უარჩევს ბუნება, ქვეყანა და ქვეყნის საქმეები და, რას ამბობენ, თვითონაც არ ცდიან, არავითარი საერთო არა აქვსთ იმათთან და მათი ნაწარმოებიც პოეზია კი არ არის, ბოლღავ ქუეაში არ მყოფისა. მოამყეს აქ სანიმუშოთ ერთ რუს დეკადენტის (ჩენდა საბედნიეროთ, ჯერ ჩეეში არ მიაპოვებთან ისინი) ლექსი, რომელიც სრულიათაც არ არის განგებ ამორჩეული, არამედ პირველა, რომელსაც შემთხვევით წაეწყდ; როცა მაგალითს მოყვანა მოერსურე:

Рѣчь наша чудесна,
 Вездѣ смысла прелестна,
 Лазурна, небесна,
 Какъ демонъ безчестна,
 Какъ въ юрѣ неумѣтна,
 Но тѣнь не древесна.
 На свѣтъ ей тѣсно,
 Она все отгнѣсно,
 Со мной повсемѣстно,
 Страдаетъ грозя...

ამისთანა ემელიანოვ-კოხანსკები ბევრია დღეს რუსეთში და სხვაგანაც ყველგან, ხოლო სამშობლო მათი არის საფრანგეთი, სადაც განზდა და აყვედდა „დეკადანსი“.

დუტუ შეკრეა.

(შეშდვეთ იქნება)

მ ა რ ტ ი ო ლ ბ ა ,

გ. დე მოსასნისა.



ხიარულათ ვისადილეთ. ყველანი უცულო ახალგაზღბი ვიყავით. ნასადილევს ჩემმა ძველმა მეგობარმა მიმიპატივა ვლისეს მინდებრებისკენ ვასაცირებლათ.

გავემგზავრენით. ნელ ნაბიჯით, შევიარეთ გძელ ხეივანში. ორივე მხრიდან მალალი, ოდნავ დაფურცლილი ხეები დავეურებდენ. არც ერთი მკაფიო ხმა არ მოდიოდა ჩენვამდის, მხოლოდ პარიზის დაუსრულებელი, ყრუ გრგვინვა გვესმოდა. გრილი სიო დაგებერდა და ბნელ ცაზე ოქროს მტვერით გაფანტულ იყვენ ურიცხვი ვარსკვლავები.

ჩემმა მეგობარმა დაიწყო ლაპარაკი:

—არ ვიცო, რა მიზნებია და ლამაზობათ მე სხვა ადგილზე უფრო აქ ესუნთქეთ თავისუფლათ. ჩემი ფიქრი თითქო იზრდება, ხან-და-ხან რაღაც შუქი გამოვლავს ხოლმე თავში, და იმ წუთს მჯერა, რომ ჩვენ ცხოვრების უზენაეს იდეალობას გამოვიცნობთ. ამ დროს ფანჯარა იხურება... და ვათვდა, აღარაფერია...

რაღაც ტყუბი აჩრდილნი დაკრთოდენ ხეებ შუა. ერთ სკამის ახლოს ვავიარეთ. ზედ ქალ-ვაყი ისხდენ, ერთ ბნელ ლანდათ შესისხლბორცებულნი.

ჩემმა მეგობარმა თქვა:

—საცოდავი არსებანი! ზიზღს კი არა, გამოუთქმელ სიბრაღულსა ვგრძნობ მათდაში. აღამიანის ცხოვრების საიდუმლოთა შორის მხოლოდ ერთი გამოვიცანი: იმიტომ ვიტარებთ, რომ ამ წუთისა-სოფელში საუკუროთ მარტონი ვართ, და ყველაფერს, რასაც ვშვებთ, იმიტომ ვშვებთ, რომ ამ მარტობას გავექცეთ სადმე. აი, ეს მიჯნურნიც, გარეთ, ცას ქვეშ, სკამებზე რომ სხედან,—ისინიც, ჩვენს-ეთ, ყველა სულდგმულ არსებასავით, შემთხვევას ეძებენ, რომ ერთი წუთით მაინც გაექცენ მარტობას, მაგრამ ვერ გაექცევიან, საუკუნოთ მარტონი დარჩებიან; მათსავით ჩვენცა.

ადამიანებში ზოგი საცემბით გრძნობს ამას, ზოგი კი ვერა; ეს არის, სხვა არაფერი...

ეს რამდენიმე ხანია, უწყალოთ ვიტანჯები: მე გაიფე, მე შევიტყე ჩემი საშინელი მარტოობა; ვიცი, რომ ვერასფერი, — გესმის თუ არა? — ქვეყანაზე ვერასფერი ვერ მოაუღებს მას ბოლოს. ყოველი ჩენი ცდა, ცოდელებმა, გულის მისწრაფებმა, ჩვენ ბავთა ძახილი, ყოველი ჩენი ხვედრ-აღერის — ამაო, ამაო, — ჩვენ ყოველთვის მარტონი ვართ.

იმიტომ მოვიყვანე აქ სასიყრითო, რომ შინ დაბრუნება არ მინდოდა, — მე ახლა საშინლათ მტანჯავს ჩემი სახლის მარტოობა. მაგრამ ტყუილია ყველაფერი. მე ვლაპარაკობ, შენ ყურს მივდებ, ჩვენ ერთათ ესვირნობთ, ხელი-ხელ გაყრილინი, ერთათ, მაგრამ ყოველი ჩვენგანი მარტოა. გესმის, რასაც გეუბნები?

„ენტარ არიან გლახანი სულითო“, ამბობს საღმრთო წერილი. იმათ ბედნიერების ღირსი მაინც არ ვაჭკობიათ; იმათ არ იციან ჩენი განმარტოებულები მწუხარება; ისინი არ მილოდენენ ჩემსავით ამ წუთისოფლის გზაზე, მარტო იღაყვით არ ენებთან ადამიანებს, ყოველ სიხარულს მოკლებულნი, ვგაოსტურათ კმაყოფილნი იმითი, რომ ყველაფერი ესმისთ, ყველაფერს ჰნედავენ, გულის-ხმოვნე; დაუსრულებლათ არ ტანჯავთ ის გრძნობა, რომ საუკუნოთ მარტონი არიან.

შენ გგონია, რომ მე ქუთაზე შევიწაღე; განა? ყური კარგათ დამიდგე. მას აქეთ, რაც ჩემი არსებობის მარტოობა ვიგრძენი, ისე ვარ, თითქო რაღაც ბნელ ქვესკნელში ჩავდივარ, სულ უფრო და უფრო დაბლა, უძირა და უციღურ ქვესკნელში, რომლიდან იქნება გასავალიც არ იყოს. მივდივარ და ჩემთან, ჩემ გვერდით, ერთი ცოცხალი სულდამულიც არა ჩანს; ხან-და-ხან რაღაც ხმაურობა, რაღაც ყვირილი და ძახილი მესმის; ხელების ფათურით მივეშურები იქითკენ, მაგრამ ნამდვილათ არას ღროს არ ვიცი, საიდან მოდიან ეს ხმები: ვერავის ვერ ვხედავ; ადამიანის ხელს ვერ მივაგნებ იმ ბნელეთში, რომელიც ვარს მარტოა მე. გესმის თუ არა?

იყვენ იმისთანები, რომელთაც ხანღისხან ესმოდათ ეს საზარელი ტანჯვა. მიუსხე ამბობს: ეს ვინ მოდის? ვინ მიძახის? არაფერია. მარტო ვარ, მარტოა საუკუნოთა, — დაჯკრა საათმა. ოჸ მარტოობავე! ოჸ საზარლობავე!

მას მკრთალი ეჭვი ტანჯავდა, ისე საცემბით არ გრძნობდა: მას, როგორც მე. ის პოეტო იყო, თავის ცხოვრებას მოჩვენებებითა და ოცნებით ავსე-

ბდა. ის არასოდეს არ ყოფილა სრულებით მარტო, ჩემსავით.

გუსტავე ფლობერი, ამ წუთისოფელში დიდებული ბედშავე სული, ბედშავე თავისი დიდებული სოფლის — მიზილობით, მეგობარ ქალს უიმელო სიტყვებს წერდა: „ჩვენ ყველანი უღაბნოში ვართ: ერთმანერთის არაფერი გვესმის“.

ღაღ, ერთმანერთის არაფერი გვესმის; რასაც არ ვფიქრობთ, რასაც არ ვამბობთ, რასაც არ ვშეგრებით, — ერთმანერთის არაფერი გვესმის. განა იცის დედა-მიწამ რა არის, აი, იმ ვარსკვლავებზე, ზეცაში ანთებულ მარცვლებათ გაფანტული რომ არიან, ისე შორს, რომ მათ უმცირეს ნაწილს ვხედავთ ზაღმე, მათი დანარჩენი დაუსრულებელი რაზმი კი სივრცეში იკარგება. იქნება ეს ვარსკვლავები ისე დაბლა-ცეხული იყვენ ერთმანერთზე, რომ ერთ ქვეყანას შეადგენდენ, როგორც ერთი ხსენულის ნაწილაკები? და როგორც დედამიწამ არ იცის, რა არის აი იმ ვარსკვლავებზე, ისე ადამიანმაც არ იცის, რა ცოცხლობს მის მზგავს ადამიანის ფიქრი და გულში. ჩვენ უფრო დაუმარებულნი ვართ ერთმანერთზე, ვიდრე ეს მნათობნი, ბევრათ უფრო განცალკევებულნი, იმიტომ რომ ფიქრი — უფსკრულია.

რა იქნება ამაზე უფრო საზარელი: სულდამული ყოველთვის ენებთან ერთმანეთს, ერთმანეთთან შესისხლ-ხორცება კი არ შეუძლიათ? ჩვენ ისეთი სიყვარული ვიცი, თითქო ერთმანეთზე ახლოს მიჭედლები ვიყვეთ; შელაპრობილნი ვართ, ერთმანერთთან შეერთება კი არ შეგვიძლია. გულს გვიღრღნის და გვექმენის ამ შეერთების წადლი, მაგრამ ყოველი ჩენი ცდა — ამაო, მისწრაფება — უნაყოფო, გრძნობათა გამოთქმა — უსარებლო, ტრფიალება — უძღური და აღერისა — ფუჭი. ერთმანერთთან შესისხლ-ხორცება გეწადს, მიველტეთ ამას და მხოლოთ ვეჯახებით ერთმანეთს. ყველაზე უფრო მაა. შინ გგრძნობ მე ჩემ თავს მარტოთ, როდესაც ადამიანს ვხედავთ გადამული ხომღე: ამის შეუძლებლობა მაშინ უფრო ცხადია ჩემთვის. აი, აქ არის — ეს კაცი — მიცქერის თავისი ნათელი თვალებით, მის სულს კი, ამ თვალებს უკან რომ არის, მე ვერ ვიცი. იგი ყურს მივდებს მე. რას ფიქრობს ამ ღროს? ღაღ, რას ფიქრობს. შენ არ გესმის ეს ტანჯვა? იქნება ცხელტყე, ეწონდებოდა, იქნება დამცინოდეს? ყოველ ჩემ სიტყვას უყვირდება, სჯის, მკიცხავს, მიკიყინებს, უნიჭოთ ან ტუტუტოთ მაგდებს? ვინ იცის, რას ფიქრობს ის? ვინ იცის, უყვარვარ მე მას ისე, როგორც იგი მე მიყვარს, — მის პატარა, რკელთ თავში ჩანაირი მოძრაობა? რა საშინელი იღუმელობაა — სულდამულის უცნობი ფიქრი, ფიქრი ფარული და

თაისუფალი, რომლის გამოცნობა, სხვა გზაზე და-
ყენება, მოაზრებულია და დათრგუნვა ჩვენ არ შეე-
ცილება.

მე კი?.. რამდენსაც არ ვცდილობ, შევერთვისო
სხვას, ჩემი სულის ყველა კარები გაუღო, —ეს ჩემ-
თვის შეუძლებელია. იქ, სიღრმეში, სულის უფს-
კრულში, ყოველთვის რჩება რაღაცა, ჩემი „მე“-ს
იღვამლი ნაბამალი, რომელსაც ვერაფერ ვერ მიგ-
ნებს; ვერაფერ ვერ ამოაჩენს მას, ვერაფერ ვერ შევა
იქა, იმიტომ რომ არაფერ არა მგავს მე და ჩვენ ერთ-
მანეთს ვერ ვცნობთ.

მითხარი, ამ წუთს მიცნობ მე, თუ ვერა?
ქუჟაზე შემქლარი გგონივარ! შენ მიკვირდები, მერი-
დები მე! რა ემართებათ, ეყითნები შენ თავს? მაგრამ,
თუ როდისმე ვაივებ ჩემ საზარელსა და გულის მო-
მწყველელ ტაყვას, ოჰ მაშინ მოდი და მითხარი
მხოლოდ — მე შენ გაგიცანი-თქო! — და ერთ წუთს
მაინც ბედნიერი ვიქნები.

მეტადრე ქალები უფრო მკაცრათ მგარძნობი-
ნებენ ხოლმე ჩემ მარტოობას.

ღმერთო, ღმერთო ჩემო! რამდენი წვალება გა-
მოცდავ მე მათგან: კაცებზე უფრო ხშირათ ისინი
მიღვიძებდნენ ცრუ იმედსა, თითქო მე მარტო არ
ვყოფილიყო.

სიყვარულს რომ დაეწვევები, ასე ჰგონია, თით-
ქო შენი ბუნება ვრცელდება, უზუნავსი ნეტარება
გეუფლება. იცი, რისგან არის ეს? იცი, საი
დან ჩნდება ეს ღიღებუდი ბედნიერი გრძნობა? ერ-
თათ-ერთი მისი მიზეზი ის არის, რომ შენი თავი
ახლა მარტო აღარა გგონია. მარტოობას, სულდგმუ-
ლი ადამიანის განცალკევებას, თ-თქო ახლა ბოლო
მოეღო, რა საცლადვი სიბრძნეა!

ქალი ჩვენზე უფრო იტანჯება საუკუნო სიყვა-
რულის სურვილით, რომელიც განმარტოებულ გულს
გეოღრღნის დაუსრულებლათ; აი, ეს ქალია ჩვენი
ოცნების ფუჭი სული.

ხომ იცი, რა ტკიბილია ამ არსებასთან პირის-
პირ ყოფნა, ვეღ-თმიან გრძნობათა-აღმტაც არსე-
ბასთან, რომლის ერთი შეხედვა ქუჟაზე შეგვიშლის
ხოლმე. გიჭურბო აღტაცება ტერის აკრეფს. საუცხო-
ვო ოცნება გეუფლება, ასე გგონია, რომ, აი, ამ წუთს,
შენ და ის უნდა მიენდოთ ერთმანერთს. მაგრამ
ეს მხოლოდ მოჩვენებაა. და დიდი ხნის ლოდინს,
იმედებსა და ყალბ სიხარულს შეემდეგ, მე წინა-
დელზე უფრო მარტოთა ვგრძნობ ჩემ თავს.

ყოველ კოცნასა, ყოველ ხვეწნა-აღივრის შე-
მდეგ მარტოობა იზრდება. რა საზარელი, სულის
მთრგუნავი ტანჯვაა!

პოეტი სიუღლი პროფლაში ამბობს: „ყოველი
აღივრის — გიჭურბო ლტოლილდება, საბრალო სიყვა-
რულის უნაყოფო წადილია, რომ სხეულთა კავში-
რით შეუძლებელი სულთა გაერთება დაბადოს“.

მეც კი მშვიდიბობი! დასრულდა ყველაფერი.
ჩვენ ოდნე ვაიცანით ის ქალი, რომელიც ჩვენ-
თვის ერთი წუთის ქვეყნიერება იყო, ვისი გულის
ფიქრი, ჩასაკვირველია უფანო, ჩვენ თავის დღემი-
დაც არ გაუტყენია.

იმ წუთშიაც, როდესაც ვფიქრობთ, რომ ჩვენ
არსებათა იღვამლი თანხმობით, გულის წადილთა
და ყველა მისწრაფებათა სრული გაერთებით, მას
სულის სიღრმემდის ჩაწვდით, — სიტყვა, ერთი მისი
სიტყვა, უცაბედთ გამოთქმული, ვაგვიმზღეს ხოლმე
ამ ცრუ ნეტარებას და ისე, ვით ბნელეთს ეღვა,
ჩვენ შორის ღია უფსკრულს წათელს მოჰყენეს.

მაგრამ მაინც არაფერი ჯობის იმ საყვარელ
ქალთან ვატარებულ საღამო ჭამსა, — მდუმარე ჭამს,
როდესაც მარტო მისი სიხალისაგან თავი თითქმის
ბედნიერი გგონია. მეტს ნუტარაფერ ვითხოვთ, რადგან
არა დროს არ შევისხლბორცებიან ორი არსებანი
ერთმანერთს.

ჩემი სული ახლა ყველასთვის კარ-ღანშულია.
მე არავის არ ვეუბნები, რა მრწამს, რას ვფიქრობ,
რა მიყვარს. მე ვიცი, რომ საზარელ მარტოობაში
უნდა დაეღიო სიცოცხლე, ყველაფერს გულ-გრი-
ლათ ეუცქერ და არაფერს ვამბობ. რა შენაღლებს
სხვების აზრი, შფოთი, რწმენა და სიხარული. მე არ
შემიძლია აღამიანებს ვაუზიარო რაზე და ყველაფე-
რი ცივთ მხედება გულს. ჩემი უჩინარი ფიქრი გა-
მოუცნობი დარჩება. ჩვეულებრივ კითხვებზე საპასუ-
ხით მე ვაკვიროლი სიტყვები ვიცი, ვიცი ღიმილი,
როცა პასუხის ვაცემა არა მსურს.

ახლა მიცნობ, თუ არა?“


ჩვენ მთელი ხეივანი გავიარეთ. ვარსკვლავები
თანხმობის მოედნადის დაშვებულთყვენ; ის ნელა
ლაპარაკობდა, კიდევ ბევრი რამ თქვა, რაც ახლა
აღარც კი მასსოვს.

ბოლოს პარიზის ქვა-ფენილზე ამართულ, მა-
ღალ ქვის ობლესიკის წინ გაჩერდა. ვარსკვლავების
ნათელში მკრთალათ მოჩანდა ეგვიპტედან გადმო-
ხვეწილი ძეგლის მოხაზულობა, რომელსაც გვერდე-
ზე მისი საშობოლოს ისტორია აქვს უცნაური ნიშ-
ნებით წარწერილი. ჩემმა ამხანაგმა უცრათ ხელი
ასწია, მანიშნა იგი და წამოიძახა:

— ჩვენ ყველანი — ამ ქვესაეთა ვართ!
და მომშორდა; მეტი სიტყვაც არ უთქვამს.
მე ახლაც არ ვიცი, მთრალი, ქუჟაზე შემეც-

დარი, თუ ბრძენი იყო იგი; ზოგჯერ მგონია, რომ ის მართალი იყო, ზოგჯერ კი—შემოლილათ მჩრეცნება ხოლმე.

ა. ნ—შიქ.



„ქვალის“ ფოსტა.

ბ. ბ. ლ. ბურჭინაშვილს, გ. ჭოროხანაძეს, ლ. სისარულაძეს, ა. დ. თათარაშვილს, გ. წიტიშვილს, ი. ბურჭინაშვილს და გ. სხეიას.

თქვენი საერთო სულ-მოწერილი წიროლი, „ქვალის“ რედაქციისი გამოცხადებით, რომელითაც გავიცნეს უფრო ბ. ი. გოგუაშვილის უმართულო კილო ზოგადი კაცის, სრულყოფითი სკამბოლი: „მრავალი“ „ქვალის“ და „ივერის“ მკითხველები თქვენიან ერთად შექუქებულნი ახან ჩვენი გახეთქების ამტკიცებელ გუთხანად; მაგრამ „ქვალის“ იმის გამო ვერ ვსტამბავთ თქვენს მიერ საერთო სულ-მოწერილ სტატკას, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი უმისოთაც გეჭმევენ, კითხოდ სხეთი „ქვალის“ დი თანაგრძობის წიროლითა; თვით ჩვენ რედაქციისი ითხევადაც. კარგს იხევენ ჩვენი დიკტატურის გულ-შემატკიცებელ მკითხველები, სხეთ სტატკებს თვით იმ გახეთქილ გავხანადენ დასტამბათ, რომელიც ამდგეს დასტამბებს ნებას უმართულო ზოგადი კაცის და თუ არ დასტამბავს, თვით რედაქციის მიანტ მოახდენს კუთვლ გავლენას და ესეც სასარგებლო იქნება.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

თბილისის ქალაქის გამომცემლობა ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ 18 მაისს, 1897 წ. მოხდება თბილისის ქალაქის საბჭოს ხმონების არჩევნები ოთხის წლისათვის 1897—1901 წ. ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ცალკე გამოაცხადებს, კრება რომელ ადგილს შედგება და რომელ საათზე დაიწყება. 18 აპრილიდან 2-ს მაისამდე ქალაქის გამგეობის შენობაში, ყოველ დღე, კვირათუქის გარდა, სანამ მოუზობა არ შეწყდება, ამომრჩეველთა შეუძლიან წარმოადგინონ მათ მიერ ხმონათ დასახელებულ კანდიდატთა ნუსხა, ამასთანავე ამომრჩეველთა 18 მაისის კრებაზე დასწრების ბარათი მიეცემათ, რომ ხმონებთ ასარჩევ კანდიდატებს კენჭი უთარონ. ამევე დროს განმავლობაში ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებლის სახელო-


ბაზე მიიღება წერილობითი განცხადება იმათგან, რომელნიც ხმონების სურვილის თითონვე განაცხადებენ და ყოთს დაიღამენ. ამომრჩეველს, თუ ჰყოფს, შეუძლია ქალაქის გამგეობისაგან მიიღოს 1892 წ. საქალაქო დებულებიდან ამოწერილი 24—33 მუხ. დაბეჭდილი დარიგება არჩევნების წეს რიგის შესახებ და ბლანკები, რომელშიაც უნდა აღნიშნონ მათ მიერ ხმონათ დასახელებული კანდიდატები. თითოეულ ამომრჩეველს მიერ სახმონათ დასახელებულ კაცთა რაოდენობა 9მ არ უნდა აღემატებოდეს. თუ აღმოჩნდა, რომ ვისმე ამ რიცხზე მეტო კანდიდატი დაუსახელებია, დათვლის დროს კანდიდატთა დასახელებულთა ჩაითვლებიან ხმონათ თვეში მოხსენებული 9მ კაცი. კანდიდატთა ნუსხის მიიღება 2 მაისს, ნაშუადღეის 3 საათზე, შეწყდება, რომლის შემდეგ დაბეჭდილი ყუთი ქალაქის გამგეობის თანადარჩევითი გაიღება და ეს უცანასკნელი ყველა კანდიდატების საერთო ნუსხის შედგენას შეუდგება, რომელთაც ხმონობისთვის კენჭი უნდა იყარონ, და ამასთანავე გამგეობა ცნობაში მოიყენოს რამდენი ხმით არის დასახელებული თითოეული კანდიდატთაგანი. კანდიდატი, რომელაც არა ნაკლებ ხუთ ამომრჩეველთაგან იქნება დასახელებული, კანდიდატთა საერთო ნუსხაში არ იქნება ჩაწერილი, იმათ გარდა, რომელთაც თითონვე განაცხადეს სურვილი, რომ ყუთი დამიდვით და კენჭი მიყარეთ.

რწმუნების ქალაქი შეიძლება მიეცეს ხმონათ იმათ, რომელნიც მოხსენებულ არიან საქალაქო დებულების მე-24 მუხ. მე-2 შენიშ. და 25—27 მუხ.

1) იმათ, რომელთაც უფლება აქვთ არჩევაინებში მონაწილეობის მიღებისა, მზრუნველი არა ჰყავთ და ამასთან 25 წელი არ შეუსრულებიათ; 2) დედათა სქესისათ; 3) მამას შეუძლიან თვის გაუყრელს შვილს მისცეს რწმუნების ქალაქი.

2) თუ რომელიმე ამომრჩეველი კრებას ეგრ დაესწრება, 1892 წ. საქალაქო დებულების ძალით, თვის მაგიერ კრებაზე დასწრების უფლებას მეორე ამომრჩეველს ეგრ გადასცემს და ამიტომ ამ გეარე რწმუნების ქალაქის ვაცემა არ შეიძლება.

(3—1)



ქურნალი „**ქვალის**“ 1897 წ. გამოდის ყოველ თვე ე. ი. ხელის მოწერილები მიიღებენ წლის განმავლობაში 12 წიგნს და ქურნალი ღირს თბილისში 4 მ. და ქალაქ გარეთ 5 მანეთი.